

# დროშა

№ 1 იანვარი 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

619
1959

6/619



ბაკურიანის ტყეში

ფოტოეტიუდი გ. თიკანაძის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (90) იანვარი, 1959 წ.

გამოცემის VIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ენერგეტიკოსების კიდევ ერთი გამარჯვება



საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გუმათჰესის—I ზაექსპლოატაციოდ გადაცემას. მიტინგის მონაწილეებს სიტყვით მიმართავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგური.



მწყობრში ჩადგა გუმათჰესი—I უკანასკნელი, მეოთხე აგრეგატი და მთელი სიმძლავრით ამუშავდა გუმათის პირველი ელექტროსადგური. მშენებლებმა ეს შესანიშნავი გამარჯვება მიუძღვნეს პარტიის XXI ყრილობას.

გუმათჰეს—I საექსპლოატაციოდ გადაცემის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქ. კ. პ. ც. კ-ს პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

7785



თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებლი ქარხნის მეორე მექანიკური საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ): ხარატი ა. მაკაროვი, ბრიგადირი ზ. გველუკაშვილი, შრანდავი გ. გარსევანიშვილი, ხარატი მ. თავლალაშვილი და მბურღავი ა. კუდუხოვი.



თბილისის №1 ფეხსაცმელების ფაბრიკის მეორე საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები (მარჯვნიდან მარცხნივ): ა. მიტეშევა, ე. კოროტკოვა, რ. ულოგოვა (ბრიგადირი), მ. საგატელოვა, ლ. შაფათავა და ზ. აევშნიკოვა ფაბრიკის ორანჟერეაში ათვალიერებენ ნერგებს ფაბრიკის ეზოს გამწვანებისათვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის კერამიკული კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები (მარჯვნიდან): ლ. ჯანაშია, დ. კასრელიშვილი და პ. ზასლავსკაია აწარმოებენ პირისაბნის აუზების მოჭიქვას. ისინი გეგმას ასრულებენ 250%-ით.

# კომუნისტური შრომის ბრიგადები

სტალინის სახელობის ორთქლმავ.-ლ.-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამწყობო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა (მარჯვნიდან მარცხნივ): ვ. ქოქოშვილი (ბრიგადირი), ზ. კვახაშეიშვილი, შ. სანაკოევი, გ. ბრეგაძე, — გეგმას ასრულებენ 320-350%-ით.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კომუნისტურმა შრომის ბრიგადამ, რომელსაც მეთაურობს ოსტატის თანაშემწე მ. ქლენტი, ერთ-ერთ გამოსასვლელ დღეს ექსკურსია მოაწყო საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

მუზეუმის თანამშრომელი თ. თედელური ამ ბრიგადის წევრებს გ. პროშჩალიკინას, ვ. ოსიპოვას, ლ. გემცევს, მ. ქლენტს, ვ. მიხს, მ. მახარობლიშვილს, ტ. ლვოვას და ფ. სოხაჩს აცნობს თბილისის 1500 წლისადმი მიძღვნილ გამოფენის ექსპონატებს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა



კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზულმა პროგრამამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მშრომელ მოსახლეობაში. კომკავშირელების ინიციატივით საწარმოებსა, საკოლმეურნეო მინდვრებსა თუ სამეცნიერო ლაბორატორიებში ჩამოყალიბდა კომუნისტური შრომის ბრიგადები.

საბჭოთა მშრომელებს იგი მიაჩნიათ შეჯიბრების ახალ უმაღლეს ფორმად, რომელიც ნაკარნახევია ჩვენი ცხოვრების მიერ და შეესაბამება ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპს.

ეს მოძრაობა ჩაისახა მოსკოვის დეპოში, სადაც 1919 წლის მაისში ჩატარდა პირველი კომუნისტური შაბათობა.

ამ ახალი მოძრაობის მონაწილეები მიზნად ისახავენ ფართო ამოცანებს: იშრომონ, იცხოვრონ, და ისწავლონ, კომუნისტურად — აი ვალდებულებები, რომლებსაც იღებენ კომუნისტური შრომის ბრიგადები.

არა მარტო მაღალი შრომითი მაჩვენებლები, არამედ თანამედროვე ტექნიკის დაუფლება, ცოდნის შეძენა, კულტურული დონის ამაღლება, ძველ ყოფითი გადმონაშთებთან ბრძოლა, ყველგან და ყოველთვის პირადი ინტერესების საზოგადოების ინტერესებისადმი დაქვემდებარება. ასეთია ვალდებულებები, რომლებსაც ამოიკითხავთ ამ ბრიგადების ხელშეკრულებებში.

ამ ახალმა პატრიოტულმა მოძრაობამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობაში. თუ არც კი გასულა და რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში უკვე შექმნილია კომუნისტური შრომის ათეული ბრიგადა, რომლებშიაც გაერთიანებულია მოწინავე ახალგაზრდა მუშები.



# ტყე ხალხის საუნჯეა



ზემო სვანეთი. ალპური საძოვრების კიდესთან იწყება ტყეები.

სურათები აკადემიკოს ნ ი კ ო კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი ს ფოტო-ალბომიდან.

## მერაბ _ მელითაური

..."ბუნების დაცვა წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის ერთ-ერთ ამოცანას, სახელმწიფოს და მთელი საზოგადოებრიობის დიდ საზრუნავ საქმეს. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, მოსახლეობის მზარდი მატერიალური, კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მშრომელთა დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობების შექმნა მოითხოვს მუდმივ და ყოველმხრივ მზრუნველობას ბუნების სიმდიდრეთა შენარჩუნების, აღდგენის, გამდიდრებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის" — ასე ამომწურავად და ჭეშმარიტად ფართო სახელმწიფოებრივი მიდგომით განსაზღვრა საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ ბუნების დაცვის ამოცანები კანონში „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ".

ტყე ჩვენი ბუნების მთავარი საუნჯე და ჩვენი ზრუნვის ძირითადი საგანია.

საქართველოს რესპუბლიკის ზედაპირის 37 პროცენტი ტყეებითაა დაფარული, რაც თითქმის 3 მილიონ ჰექტარს შეადგენს. ეს ხალხის უდიდესი საუნჯეა, რომლის მოვლა-პატრონობა და გონივრული გამოყენება იმთავითვე ქართველი ხალხის საზრუნავს წარმოადგენდა.

სახელგანთქმულია საქართველოს შესანიშნავი ტყეები — კავკასიონის ალპური საძოვრებიდან —შავი ზღვის სანაპიროებამდე გადაჭიმული... სახელგანთქმულია საქართველოს კლიმატური კურორტების — აბასთუმნის, ბორჯომის, შოვის, ჯავის, რიწის — საკურორტო ტყეები... 250 ჯიშის ხე და ბუჩქი იზრდება ამ ტყეებში... კახეთის გაღმა მხარის შესანიშნავი წიფლნარი ტყეები, სვანეთისა და აფხაზეთის ძვირფასი ჯიშის ხეებით შემკობილი უტევი ტევრები, განთქმული ქართული მუხა და უთხოვარი, წაბლი და წიფელი, ძელქვა და თელა — ამ ტყეებისა და მთელი ჩვენი



ყვარლის რაიონი. დურუჯის ხეობის ტყეები.

ბუნების თვალია. ტყესთანაა დაკავშირებული მთელი ჩვენი სოფლის მეურნეობის ბედ-იღბალი — ჰავა და ფერდობების დაცვა, მდინარეების მრავალწყლიანობა და საკოლმეურნეო მინდვრების მოსავალი.

მაგრამ მრავალსაუკუნეთა ავბედობამ და ზოგიერთ „სამეურნეო მუშაკთა" დაუდევრობამ და უყაირათობამ ტყეებს დიდი ზიანი მიაყენა და საქართველოს ბარში, სადაც მთელი მოსახლეობის ორი მესამედი ცხოვრობს—დღეს საქართველოს ტყეების მხოლოდ ოთხი პროცენტია დარჩენილი, დანარჩენი 96 პროცენტი კი მთის ტყეებია.

ტყის გაჩეხვამ და მოსპობამ დიდი ზიანი მოუტანა ქვეყანას. ტყისგან გაშიშვლებული ფერდობები ირეცხება და იხრამება. კიდევ კარგი, როდესაც ფერდობზე ტყის გაჩეხვის შემდეგ აქა-იქ მაინც ტოვებენ ხეებს.

დააცქერდით სურათ 4-ზე რომ თონეთ-ორბეთის მიდამოებია ნაჩვენები, სადაც ეს თითო-ოროლა მუხა მაინც დაუტოვებიათ, მაგრამ თუ გინდათ დაინახოთ თუ რა ზიანი მოუტანა ტყის გაჩეხვამ ჯერ კიდევ ახლო წარსულში ტყით დაფარულ მიდამოებს სოფელ თელეთისა (სამგორის რაიონი) შეხედეთ ამ სურათს: — (სურ. 3.) — ფერდობები მოტიტვლებულია, ძეძვის ძირებიც კი წერაქვით ამოუყრიათ, წვიმის წყალმა დალარა, დახრამა და სრულიად მოატიტვლა მიდამო.

ქართველმა ხალხმა მრავალი საუკუნის განმავლობაში გამოიმუშავა ნიადაგის დაცვისა და მოვლა-პატრონობის წესები — ვისაც საქართველოს სამხედრო გზაზე გაუვლია მთის ფერდობებზე ხშირად ასეთი სურათი დაუნახავს (სურათი 2) — ეს ტყის ზოლები, რომელიც ხალხს ნაკვეთებს შორის დაუტოვებია — იცავენ ნიადაგს, იფარავენ ნათესებს ქარისაგან.

ტყის მოვლა-პატრონობა და გაშენება საყოველთაო სახალხო საქმეა... მხოლოდ გასულ 10 წლის განმავლობაში ნებაყოფლობით საზოგადოების „ტყის მეგობარის" წევრებმა 50 მილიონზე მეტი ხე და ბუჩქი დარგეს. დღეს ტყის დასაცავად და გასაშენებლად მთელი ხალხი აღსდგა... მაგრამ ამ დიდ საქმეში ყველაზე საპატიო ადგილი იმ რიგით მუშაკებს ეკუთვნის, რომელნიც დღითა და ღამით დაუღალავად შრომობენ ჩვენი ტყეების დასაცავად და მოსავლელად.

ნასყიდა რუსიაშვილი (სურათი 6) მრავალი წელიწადია ყ ვ ა რ ლ ი ს სატყეო უბნის ტყის მცველად მუშაობს. მან კარგად იცის, რომ დურუჯის ხეობის ტყეების დაცვა არა მარტო საპატიო, არამედ ყვარლის მოსახლეობისათვის სასიცოცხლო საქმეა— მრავალი უბედურება მოუტანა ამ აყვავებულ სოფელს დურუჯის სათავეებში ტყის მოსპობამ... დურუჯის ქვემო წელში კი დღესაც შესანიშნავი ტყეები შრიალებენ (სურ. 5)...

ტყის დაცვა — დიდი ეროვნული, საყოველთაო სახალხო საქმეა.

წითელწყაროველთა მიერ წამოწყებული თაოსნობა ტყის დასაცავად და მოსაშენებლად — დღეს ფართო პატრიოტულ მოძრაობად იშლება... საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული შესანიშნავი კანონი „ბუნების დაცვის შესახებ" — საშუალებას გვაძლევს ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივად მივუდგეთ ამ დიდ, საშვილიშვილო საქმეს და ტყეების სამოსით დავფაროთ ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.

# ეროვნული სიმდიდრე



ყვარლის რაიონი. ტყის მცველი ნასყიდა რუსიაშვილი დღედაღამ ტყის ხა-[illegible]



მთიულეთი. ჩრდილოეთის ფერდობებზე ხალხის მიერ დატოვებული ტყის ზოლები იცავენ ნიადაგს.





სამგორის რაიონი. სოფელ თელეთის მიდამოები. ტყე გაიჩეხა — მოისპო, წვიმის წყალმა დალარა და გააზრიოკა მიდამო.



თრიალეთი. გაჩეხვის შემდეგ დარჩენილი მუხები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი ელბერდ ლანიშაშვილი.

# ზამთრის საძოვრების გზებზე

ბორის ჩხეიძე

ფოტო შ. კრიმსკისა

I.

ჩვენი მანქანა ხან ღრმად შეიჭრება უკანა მხრის მინდვრებში, ხან ისევ გომბორისაკენ გამოსწევს. იგი ეკუთვნის ბეითალ ექიმ დურმიშხან (ბელურა) ხარაშვილის დაწესებულებას და აკი პატრონიც ჩვენთან მოდის. დურმიშხანი ემსახურება მომთაბარე კოლმეურნეებს. სწორედ სულზე მივუსწარით საძოვრებზე წასასვლელად სამზადისში.

წითელწყაროდან უზუნდარისაკენ ვიხევთ. გომბორის იმ ქედებზე ავდივართ, სადაც წინამხრიდან უკანა მხრისაკენ გადასახედია. ნასიარულევი არც აქ ემჩნევა მიწას. იქაურებმა გზა თვალშეჩვეული გორაკებით, მინდვრებით და კიდევ სხვა ნიშნებით იციან. ეტყობა, დურმიშხანის შოფერიც კარგადაა გამოცდილი აქეთ სიარულში. მან უეცრად ორ გორაკს შორის შეაგდო მანქანა და წამში პირი თავქვე ქნა.

— სადა ვართ? — ვეკითხებით დურმიშხანს.

— ტოროლის ხევში! — არის მისი პასუხი.

— ხევიო! აქ ხევს რა უნდა!

ჩაღრმავებული გრძელი მინდორია. შიგ არც წყალია და არც რიყე. ურო ბალახის ნათელში მანქანის თვლებისაგან დაჩნეული კვალი გვრჩება „ხევის“ ფსკერზე.

— და მაინც ხევი ჰქვია. — გვიმეორებს დურმიშხანი.

— კარგად იცით? იქნება ცდებით, იქნება ტოროლის ხევში კი არა, სხვაგან ვართ. აკი ერთი „ხევი“ იქითაც შეგვხვდა და ამისაგან არაფრით განსხვავდებოდა.

— თქვენთვის არ განსხვავდებოდა! — ამბობს დურმიშხანი და ამ საოცარ ბუნების სანახაობით აღტაცებულებს გვიღიმის. ხევი თანდათან ღრმავდება. ადგილ-ადგილ ფართოვდება კიდევაც. ხანდახან უსაზღვროდ გაიშლება, დაცემულ, ტრიალ ვაკეებად იქცევა. ამ ვაკეებზე გვხვდება შემოდგომის პურის ყანები და ჯერ კიდევ აუღებელი საქონლის საკვები ჭარხლის ნათესები. ძირნაყოფას კარგად უხეირნია. თითო მათგანი ხუთი-ექვსი კილოგრამი მოვა წონაში.

— ეს ადგილები რომ ირწყვებოდეს... აბა მაშინ გენახათ... ერთ ძირს ხელში ვერ ასწევდით! — შენიშნავს დურმიშხანი და განაგრძობს: — ჭარხალიც იმიტომ დავთესეთ აქ, მახლობლად, მოვთხრით თუ არა, მაშინვე მივზიდავთ ფერმასთან, დავაგროვებთ, დავათბუნებთ ნამჯითა და მიწით, მოვიმზადებთ ზამთრისთვის.

ამ ლაპარაკში მანქანა სულ წინ მიიწევს. გამოჩნდა დიდი შენობები. მეცხოველეები ასეთ ნაგებობებს „კულტურულ ბინებს“ ეძახიან. ერთი მეტად დიდი შენობა გადაწოლილა ფერდობზე, კედლები ქვიტკირისაა, სახურავი — შიფერის. ამ შენობის მახლობლად კიდევ არიან სხვა შენობები, ოღონდ უფრო ნაკლებად კაპიტალური. გარშემო სიჩუმეა. მზეს ნისლი აფარებია. საამურია მინდორში სიარული და სუნთქვა.

„კულტურული ბინა“ მეძროხეობის ფერმაა. ირგვლივ არავინ ჩანს. ეზოში რბილ ბალახზე ჯოგის ძაღლები წამოწოლილან და თვლემენ. მანქანის გამოჩენაზე ქოფაკები ზანტად იღებენ თავს მაღლა, შემოგვხედავენ, ისევ დადებენ ბალახზე. შემოყეფასაც არ კადრულობენ. ერთ ნაგაზს კი, თვითონ რომ ბალახზე გაშხლართულა, ზემოდან, როგორც რბილ ქეჩას, ვეებერთელა ჭრელი კატა დასწოლია, რომელიც თურმე ამ ძაღლს მაშინაც კი არ სცილდება, როცა მგელს ან სხვა მხეცს გამოეკიდება ღამით. მწყემსებს ძალიან მოსწონთ მათი მეგობრობა.

ახლა, დღისით, არიან ძაღლები წყნარად, თორემ აბა ღამით გაბედოს ვინმემ ბინას თუნდაც მახლობლად ჩაუაროს. ამ ძაღლებში ბევრი მეტად ღონიერი და სწრაფი ცხოველია. მეცხვარეები გვიჩვენებენ ერთ მათგანს. ბალბის ბუჩქის ძირას წამოწოლილა. ტანი ცხვარივით თეთრი აქვს, პირისახე კი მოშავო. ყელზე რკინის ჩანგლები შეუბამთ. ამ ძაღლის მარტო ერთი შეხედვა შეზარავს ვაჟკაცს, მაგრამ ადამიანს არ ერჩის, თუ არ გაახელეს. სამაგიეროდ მგელს ნუ გადაეყრება სადმე, თორემ მის კბილსა და კლანჭებს მსხვერპლი ვერსად გაექცევა. სწორედ ორიოდე დღის წინათ ამ დარაჯს გაუძაგრავს ხბორებს წამოპარული მამალი მგელი. იქვე დაურჩვია და „ჩაუბარებია“ მეხბორესათვის.

კულტურული ბინა ოზანელ კოლმეურნეებს ეკუთვნის. გაშენებულია ტოროლის ხევის თითქმის დასასრულის საზღვარზე. ამ ადგილას ოზაანელების კოლმეურნეობის ბრიგადირს რამაზ ოზაშვილს უდგას ასამდე სული მეწველი და ჯიშიანი ძროხა, ოთხმოცდაათი ხბო და რამდენიმე სული ბუღა. როგორც ივრისა და ალაზნის პირებზე, ისე, არც აქ იცის თოვლის დადება. ეს საძოვარი და ბინები, წელიწადის ყოველ დროს, სავსეა მსხვილფეხა რქოსან საქონლით. აქ მექანიზებულია კვება, ნარჩენების გატანა და ბევრი სხვა სამუშაო. ნაწველის გადამუშავება კი წითელწყაროს ქარხანაში ხდება.

მწყემსების, მომვლელების და მწველავებისათვის გამოყოფილია საკმაოდ დიდი სათავსო. ეს ღამის გასათევი ადგილი შეიძლება ტიპიურად მივიჩნიოთ ფერმებში.

ოზაანელების საქონლის მომვლელების დარბაზში შესვლის უმალ თვალში გეცემათ კარების მოპირდაპირე კედელზე გაკრული საბჭოთა კავშირის რუკა, ბელადების სურათები, პლაკატები და ლოზუნგები. აქ ამას წინათ ჩაუტარებიათ კრება პარტიის 21-ე ყრილობასთან დაკავშირებით. საქონლის მომვლელ ოზაანელ მეცხოველეებს გადაუწყვეტიათ ყრილობის აღსანიშნავად გაზარდონ საქონლის სულადობა, გაადიდონ პროდუქტიულობა და კარგადაც გამოაზამთრონ პირუტყვი. დარბაზში შესულ მუშაკს აღებულ მოვალეობას მოაგონებენ, აგრეთვე, წიგნები და გაზეთები, რომლებიც ბლომად აწყვია გრძელ, ფართო მაგიდაზე. აქვე მაგიდის სხვადასხვა კუთხეში მეცხოველეები თამაშობენ ჭადრაკს, შაშსა და დომინოს. მაგიდის გარშემო მწკრივში დგანან მავთულის ბადურიანი საწოლები. ისინი გაწყობილი არიან თეთრად ქათქათა ქვეშაგებ-სახურავით. ყველა საწოლზე ზემოდან წამოფარებულია ნაბადი.

ეს საქონლის ერთ-ერთი ბინაა, რომელიც ოზაანის კოლმეურნეობას აქვს — აქ, ივრის პირას, ალაზანზე და შირაქში. რამაზ ოზაშვილი პასუხისმგებელია ტოროლის ხევის „კულტურულ ბინა-ფერმაზე“. ბრიგადირი კარგად ჩადგმული შუბლფართო ყმაწვილია. წიგნი, რომელიც მას ჩაუკეცია და მაგიდაზე დაუდევს, რათა მოცლის უმალ ისევ დაუბრუნდეს, გვეუბნება: რამაზი საკმაოდ განათლებული პიროვნება უნდა იყოს. შორს გახედულება და კულტურა ამ კაცს უბრალოდ გასაუბრებაში და ყოფაქცევაშიც ემჩნევა. და ის უფრო გასახა-

რელია, რომ განათლებული, თავის საქმის მცოდნეს ხელი, გული, მეცხოველეობის ფერმის მომვლელ კოლექტივს, შენობებს და საქონელსაც ეტყობა.

II.

დილაა, მზე ჯერ არ ამოსულა. დურმიშხანის მანქანა კი მიჰქრის ველებში. ირგვლივ ყველგან, ყოველი მხრით ზამთრის საძოვარი მინდვრები და გორაკებია. ცხვარი კი თითქოს წამლადაც არ ჩანს. ნეტავი რაშია საქმე?

— ჯერ, აბა, ცხვარს ზამთრის საძოვარზე რა ესაქმება. საკვები ბალახი, ყვითელი ფოთოლი, ნაწვერალები, ნასიმიდარები გარდამავალ საძოვრებზედაც ბევრია და დაე, იქ იყვნენ სანამ არ გაავდება ზამთარი. — გვიხსნის საიდუმლოებას დურმიშხანი.

— მაინც როდის მოვლენ?

— ძირს, თბილებში ცხვარი მაშინ დაეშვება, როცა გომბორის ქედს საკმაოდ ჩამოსცილდება თოვლი და ზამთრის საძოვრების მაღლობებზე რთვილს მოუხშირებს ღამღამობით. ბიჭოს! — ყვირის დურმიშხანი ტარიბანას გადასახედზე.

— ეს ცხვარი ვისია?

— ოზაანის კოლმეურნეობისაა. — მიუგებს რამაზ ოზაშვილი და განმარტავს: — ჩვენი ცხვრის ამ ერთმა ფარამ, ჩანს, იჩქარა. შედარებით უფრო ადრე მიაშურა ზამთრის ბინებს. თუმცა ჯერ რა დროს ბინებია... მათ მისვლას ივრის პირამდე ორი კვირა მაინც დასჭირდება. მოგეხსენებათ, ცხვარი მიდის და თან იკვებება, მანქანით ათი წუთის გასავლელ მანძილს ის ერთ კვირას ანდომებს.

მას სიტყვას აწყვეტინებს ხმაური, ყურთა სმენა წაიღო ძაღლების გააფთრებულმა ყეფამ. ერთი ლომისოდენა ნაგაზი გაგლეჯას უპირებს რეზინის თვლებს მანქანაზე. მათ მოსაგერებლად შორიდან მორბიან კომბლებით შეიარაღებული მწყემსები.

თურმე უკვე ცხვრის ბინაში ვართ, ისეთ ბინაში, სადაც მწყემსები და ცხვარი ორი კვირა მაინც დგას. ირგვლივ არც შენობა, არც მიწურის თავშესაფარი, არც კარვის მაგვარი რამ. ერთ ადგილას მხოლოდ ბლომად ყრია ნაცარი. ეს კერაა. ღამღამობით აქ ცეცხლს ანთებენ. კერის მოშორებით მწყემსებს პურით სავსე ხურჯინებისათვის ნაბადი გადაუფარებიათ და ქვებით დაუჯორჯავთ. ცხვარს გარდამავალ საძოვრებიდან ბარად ერეკებიან ელბერდ ლანიშაშვილი და ბექირ მამედოღლი, ოზაანის კოლმეურნეობის წევრები. ელბერდს იმ დღეს მორიგეობით სადილი დაუმზადებია. ქისტური გორდილები (ხინკლისებური საჭმელია) მოუხარშავს და, თუ საჭირო იქნება, გემრიელი საჭმლით მისულ სტუმარსაც გაუმასპინძლდება.

ქართველი მწყემსის ყოფაცხოვრებაზე ბევრი დაუწერიათ ძველად და ახლაც. განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე მწყემსი. მან შესძლო საქართველოს მთისა და ბარის საძოვრებზე მოეშენებია ნაზბეწვიანი ცხვარი. ეს დიდ დაკვირვებას, შრომას და მოთმინებას მოითხოვდა. საცადელს ამაოდ არ ჩაუვლია. ახლა ჩვენ ქვეყანას მისი ცხვრის ფარის უმრავლესობაში ნაზმატყლიანი, ახალი ჯიშის ცხვარი დაუდის. ოზაანელების ფარაშიც უმეტესობა ნაზმატყლიანი ცხვარია. მათ ერთის შეხედვით იცნობთ ფარაში. ქართველმა მწყემსმა ეს დიდი ეროვნული საქმე გააკეთა. ჩვენი მსუბუქი მრეწველობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი, მისთვის საჭირო ხარისხის მატყლით. ბევრს უთუოდ ეცოდინება, რომ დიდუბის მაუდის ქარხნის ქსოვილები არაფრით ჩამორჩებიან სილამაზით, სირბილით და გამძლეობით თუნდაც ინგლისურ შალებს. ეს ქსოვილები ჩვენი ნაზბეწვიანი ცხვრის მატყლისაგანაა მიღებული.

ამ დამსახურების მქონე ჩვენი მწყემსის საყოფაცხოვრებო პირობები მინდვრად ყოველთვის როდია სახარბიელო. ელბერდის და ბექირის პირობებში არიან სხვა მწყემსებიც. საღამოს ცხვარს ერთად მოუყრიან თავს. სადმე ცეცხლს გააჩაღებენ (თუ შეშა აქვთ), წამოიხურავენ ნაბადს და მთელი ღამის მანძილზე, სმენაგამახვილებული, კომბალს დაყრდნობილები ფხიზლობენ. ყველაზე უკეთესი სახურავი მათთვის ვარსკვლავიანი და მოკლე ღამეა, თუ ასეთს ბედი ხშირად არგუნებს.

ცხვრის მოშენების, მისი ჯიშის გაუმჯობესების, მატყლის ხარისხის აწევის საქმეში მწყემსი მთავარი ფიგურაა. აძოვებს, წველის, კრეჭს, იცავს ნადირისაგან, იღებს და ზრდის ბატკანს.

III.

ელბერდის და ბექირის ბინიდან ტარიბანას მინდორი შორს აღარაა. ტარიბანა ერთი უმდიდრესი მინდორთაგანია მთელ საქართველოში. ეს ადგილები სავსეა სასარგებლო წიაღისეულით. მეტრის სისქეა მისი მოსავლის მომცემი შავი ზედაპირი. ტარიბანა ერთის შეხედვით გაუმდინარე ქვაბის ძროსავით გვერდებიდან გორაკებით ჩახურული ტაფობია. ზაფხულზე იქ მეტად დიდი სიცხე იცის. ამას ვერ შეუშინებია ადამიანი. აქ წყაროები აღმოუჩენია, სახლები აუგია. მთელ შირაქში, წინა და უკანა მხრებში, ეს ადგილი ახლა ყველაზე მორთულ-მოკაზმულად გამოიყურება. ერთხელ აქ, ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ, ბინისათვის მიწის თხრის დროს ქვევრები და ჭურები უპოვნიათ. ამას ის მოჰყვა, რომ ტარიბანაში ახლა რამდენიმე ათეული ჰექტარი ვაზი და ხეხილი ჩაუყრიათ. ნარგავი უკვე ნაყოფს იძლევა. ტარიბანას ბაღები არ ირწყვება, მიუხედავად ამისა იგი მოგვაგონებს ერთ ვეებერთელა ოაზისს. ნამდვილად ასეა. ტარიბანას გარდა ამ ტრიალ მინდვრებზე ვერსად შეხვდებით თუნდაც ბუჩქს.

ვეტექიმი დურმიშხან ხარაშვილი და სოფ. ოზანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ავთანდილ დათუკიშვილი კოლმეურნეობის ფერმაში.



წითელწყაროს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს მთელი დღე არ მოსწყინდება ტარიბანაზე ფიქრი და საუბარი. მისი აზრია: რაკილა ტარიბანაზე ვაზი და ხეხილი გვარობს, მეურნეობის ეს სახეობები, აქ მეტისმეტად უნდა განვითარდნენ. ტარიბანას „ოაზისი“ დიდი მანძილითაა დაცილებული ბალბალჩებიან ადგილებს და სოფლებს. მწყემსმა, რომელიც სახლს მთელი წლის მანძილზე ვერც კი ნახავს, აქ, ტარიბანის ბაღებში უნდა გაისველოს პირი თუთით, ბლით, ქლიავით, ვაშლით, ყურძნითა და ბროწეულით.

თავმჯდომარეს — დ. ნატროშვილს გადაწყვეტილი აქვს ხელი შეუწყოს ტარიბანას მინდვრების სარწყავად გადაქცევას. ინჟინრებს კიდევაც შემოუხაზავთ 3000 ჰექტარი ადგილი, რომელიც პირველ რიგში მიიღებს წყალს. მას იორიდან სატუმბავებით ამოიყვანენ. მელიორატორებსაც რამდენჯერმე უნახავთ ეს ადგილები, ხარჯთაღრიცხვა შეუდგენიათ და დაუნიშნავთ, სატუმბავი სადგურის ადგილი. საკითხით დაინტერესებულან რესპუბლიკის ხელმძღვანელები. ამ შემოდგომით მათაც უნახავთ ტარიბანა. უმსჯელიათ — როგორ და რა საშუალებებით შეიძლება მინდვრების მორწყვა. ეს ამბავი შორს მოსდებია ზამთრის საძოვრებზე გაბნეულ მწყემსობას. ყველას ძალიან ახარებს ის. მართლაც რომ მეტად სასიხარულო ამბავია. ეს ღონისძიება ერთიათად გაადიდებს ახლანდელ ვენახების, ხეხილის, პურის, სიმინდის, საკვები ჭარხლის და თივის მოსავალს, განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ ამ ადგილებში განვითარებულ მეცხოველეობას ზამთარ-ზაფხულ ექნება სასმელი წყალი.

IV.

ველებზე დიდი მუშაობა და ფუსფუსია გაჩაღებული. ყოველ ნახევარ საათში წინ გადაგირბენთ ხე-ტყით, ცემენტით თუ სხვა საშენი მასალით დატვირთული საზიდრები. ამ მასალებით არემონტებენ ცხვრისათვის მოწყობილ ღამით სადგომ გომურებს, მოაქვთ საკვები და შეშა. ოქტომბრის ბოლოს თითქმის ერთი კვირა მოდიოდა წვიმა. ზაფხულის და შემოდგომის სიცხით გამომშრალი მიწა კარგად გაალბო. იფეთქა ბალახმა, ამწვანდა მთა და ველი. გზის პირებში ან სალსალაჯებ ქვეშ კიაფობენ ყვითელი ბაიები და აქა-იქ თავი წამოუყვია მრავალძარღვას. ძველი, ხმელი ურო ბალახიც ხელუხლებლად დგას ყველგან.

— წელს ბევრი საკვებია ჩვენ მინდვრებში. — შენიშნავენ მწყემსები, — მაგრამ მეცხვარისა და მეძროხისაგან ზამთრის ნდობა არ შეიძლება.

საქონლის მომვლელები და მწყემსები კოლმეურნეობებს აიძულებენ ბევრი და გემრიელი საკვები მიზიდონ ბინებთან. ტრიალ მინდორზე გომურებთან შეხვდებით დაწნეხილ თივისა და ნამჯის გორებს, პირთამდე სავსე სილოსის კოშკებს და ჩალის ზვინებს. ზამთარში, თუ საქმე გაჭირდა, ყველა სახის საკვები გემრიელია ცხვრისა და საქონლისათვის. ყველა, დიახ, აქ ყველა ემზადება მარტის შესახვედრად. ამ თვეში იცის ამინდმა გაფუჭება და ვაი იმ კოლმეურნეობას, რომელსაც ბინებთან საკვები არ აღმოაჩნდება. ფარა კი არა სანაშენოც არ გადაურჩება. ეს კახეთში ყველამ იცის, დიდმაც და პატარამაც, სწავლულმაც და უსწავლელმაც. ამიტომაც რაიკომის მდივნიდან დაწყებული რიგითი კოლმეურნემდე სიფრთხილეს იჩენენ.

V

მას შემდეგ, რაც ცხვარი გაზაფხულზე მთისაკენ დაიძვრის, ზამთრის საძოვრებზე თითქმის აღარავინ რჩება. რაკილა საქონელმა და ცხვარმა მთას მიაშურა, მათ ნაბინავარ-ნაძოვარზე ყოფნის უფლება აღარავის ეძლევა. მინდორი ისვენებს. ბალახი იზრდება, მწიფდება, თავთავს მარცვალი რომ გასცვივდება, თითქოს ისევე მზადაა სტუმრის მისაღებად.

ალაზნის, მტკვრის და ივრის ნაპირების მინდვრებში ზაფხულზე დარჩენას იშვიათად თუ ვინმე ბედავს. ამ ადგილებში მზე ყველაფერს ბუგავს და წვავს. ასეთი სიცხეებისაც კი არ ეშინია ალექსა ქადაგიშვილს. ალექსა, იქ, ჭაჭუნაზე, კოწახურასა, ჯალათასა და ქოროღლის ციხისძირის მინდვრების მეველეა. მისი ერთადერთი სულიერი მეგობარი მხურვალ, უდაბურ მინდვრებში მისი ლურჯაა, სახელად — კელა.

— აბა, რომელი ცხენი შეედრება მას ქვეყანაზე? „აქტონობილი“ დაენაცვლოს ჩემ კელას. ერთი თუ აიღო ტორი, ოთხმოც კილომეტრს ჩიტივით გაიფრენს. რამდენჯერ დავყოლილვარ ჭაჭუნიდან იორს, მინგეჩაურის ზღვისათვის და სამუხის ტყისათვის გვერდი ამივლია, ალაზნის პირს შევყოლივარ, ყვარელსა და ახმეტაში ღვინო გადამიკრავს და მცირე ხანში ჩემი ცხენით ისევ ჭაჭუნაზე ამომიყვია თავი.

— რას აჭმევთ?

— ბალახს, ქერს, სიმინდს, რასაც ჩემი მასპინძელი — მინდორი უხვად მაძლევს.

კელა პატარა ლურჯა ულაყია. მუდამ დალურსული ყურები და ვეებერთელა, წყლიანი თვალები აქვს. უნდა განახვათ, როგორ მიჰქრის, როცა პატრონი მანქანას მისდევს კვალდაკვალ მინდორში. ალექსის ტახტაზე ყოველთვის

უკიდია თონეული პურით სავსე აბგა და ორლულიანი სანადირო თოფი. პატრონისა და ცხენის ცხოვრება ამ მინდვრებში, სავსეა სილაღითა და სიხარულით, არც ხიფათია ძალიან იშვიათი. აგერ, ამ ორიოდე თვის წინათ, რა გადახდა: გაზაფხულზე ერთ ბინის პატრონს სიმინდი დაეთესა ივრის ნაპირის ლამებში. ცხვარი რომ მთაში გარეკა, მეველეს სთხოვა, ჩემს სიმინდს ყური უგდეო. ალექსიმ ერთხელ ნახა ნათესი ივლისის დამდეგს, წყალიც მიუშვა მოსარწყავად. მერე, აქაოდა, ჭაჭუნაზე საქონელი აღარ არისო, სიმინდი დაივიწყა და მაშინ გაახსენდა, როცა უკვე დატაროებულიც იყო და მარცვალიც შეხმობოდა. მაშინვე ქუსლი ჰკრა კელას, მალე შევიდა კიდევაც სიმინდში. დალოცვილი ძალიან გაზრდილიყო. ცხენიან მეველეს ქუჩუჩოს დანახვა უჭირდა, ყოველ ძირს მხრებში ქვასანაყივით მძიმე ორ-ორი ტარო კეტებივით მოეღერებია. კელამ წაავლო კბილი ტაროს, მაგრამ ჭყინტლს რომ ვერ მიაგნო და ვერც მოერია შესაჭმელად, თავი უკმაყოფილოდ გადააქნია, მერე ლაგამს დაუწყო ხვრა.

ამ დროს ალექსის უეცრად ქშუილი შეესმა. მიიხედა. რას ხედავს? ბარემ თხუთმეტ ნასუქ ბურვაკს, ნეზვსა და ტახს, დინგები აუღიათ მაღლა, მისჩერებიან გაოცებულები კაცსა და ცხენს, თითქოს ეუბნებიან, ვინ ხარ, ჩვენთან რა გესაქმებაო. ალექსის გადაავიწყდა, რომ სოფლიდან სამოცი კილომეტრით იყო დაცილებული, ღორები შინაურები ეგონა. ძალიან ჰგავდნენ ჩვენებურ შავადრუხ შინაურ, გრძელდინგა ღორებს.

— თქვენ ვისი ეშმაკებისა ხართ! — დასჭყივლა.

გარეული ღორები დაფრთხნენ, მოჰკურცხლეს. სიმინდიდან იორში გადაეშვნენ, იქიდან გაღმა ჭალას მისცეს თავი. დიდმა ტახმა შემოუტია მხოლოდ. ალექსიმ მას თოფი დაახალა. შუბლში მოახვედრა ღორს ცერის სიმსხო ტყვია. ლაჩარ პატრონის ხელში კელას საქმე ცუდად იქნებოდა. ტახი ცხენს მტკავლიანი ეშვებით უთუოდ მუცელს გამოუფატრავდა.

ოქტომბერში კი კინაღამ მეორედ არ წააგო თავი მეველემ. ტყეში გადაუხვია. ცხენიდან ძირს ჩამოუხტომლად მწიფე ზღმარტლით დახუნძლული ტოტი მოიწია. გემრიელი ნაყოფი რომ ჩაკბიჩა, მაშინ შეამჩნია ზღმარტლის გვერდით კუნელის ძირას ყალყზე ამდგარი, ვეებერთელა შავი დათვი.

ალექსის თოფი აღარც კი მოჰგონებია. მიშველეო, შესძახა კელასა და მოჰკურცხლა.

ყველაზე მავნებელი მხეცი ამ საძოვრებზე მგელია. მათ წინააღმდეგ კახელ მეცხოველეებს კარგად გაწვრთნილი ნაგაზები ჰყავთ. ეს ერთგული პირუტყვები ბევრს არაფერს ატანენ თავიანთ მტრებს. ნაგაზები ადვილად უმკლავდებიან, აგრეთვე, კატისებურად ჭრელ რაღაც მხეცს, რომელიც თუ მეცხვარეებს დავუჯერებთ, აქ არ ბუდობს, აზერბაიჯანიდან შემოეხეტება ხოლმე შემოდგომით.

## VI

ვერა, ვერ დაითვლი ბინებს და კულტურულ ფერმებს ივრის და ალაზნის ველ-ჭალებზე. მდინარეების ნაპირებზე, ჭალებში, არცთუ იშვიათად შეხვდებით კამეჩის მოსაშენებელ ფერმებსაც. ეს მძლავრი და ვეებერთელა პირუტყვი ისეთ უხეშ საკვებს ერევა და ღეჭავს თავისი ღონიერი ყბებითა და ლაშებით, რასაც ხარი, ძროხა, ცხენი და ცხვარი ახლოსაც არ გაუვლის. კამეჩს ვერ აშინებს დაჭაობებული და ნესტიანი ადგილები.

ყველაზე კარგი სანახავი უთუოდ ტიბაანელების მეკამეჩეობის ფერმაა ალაზანზე. ერთ ადგილას მდინარე ორ ტოტად გაყოფილა. ამ ორ ტოტს შორის ნამდვილ კუნძულს წარმოადგენს რამდენიმე ათასი ჰექტრის მოცულობის ცამდე ავარდნილი ტყე. მასში ბევრია მუხა, თელა, ვერხვი, მურყანი, ბოყვი, რცხილა, ყოველგვარი კენკრა და ხვიარა ეკალბარდი. ციხესავით ყოველმხრივ წყლით შეზღუდულ ტყეში დაუარსებიათ ტიბაანელებს მეკამეჩეობის ფერმა, სადაც მხოლოდ ბორნით შეიძლება მისვლა. სხვა მისადგომი, თუ მდინარეს არ

სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის მექანიზებული ფერმის თანამშრომელი თურმან ხატიაშვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს არჩილ ბიძინაშვილსა და ბრიგადირ გურამ ხატიაშვილს აცნობს ძროხების წველადობას.

ფოტო ფ. კრიმსკისა.



გადასცურავ, არ არის. კამეჩი მეტად ამტანი ცხოველია. უმეტესად ის იკვებება ჭაობის ლერწმით, ჩალამ-კალმით, ხის თოთო ტოტებით. მშრალ ბინებს არ საკლისობენ და არც საკვების დამზადება ჰირდებათ. გამოუცდელი პირისათვის კუნძულის ტყეში სიარული სახიფათოა. შეიძლება ბურდში დამალულ ახლად ზაქმოგებულ ფურკამეჩს გადაეყაროს. თუ მოგერიების ხერხები არ იცის, თითქმის გაველურებული პირუტყვი დააშავებს. ასეთ შემთხვევას მეკამეჩეები ბევრს ასაწელებენ. რამდენი სული კამეჩია კუნძულზე? ამბობენ — ათას ორასს აღემატებაო. თუნდაც ათასი იყოს! კამეჩი ამ კუნძულზე, ტყეში იბადება, იზრდება და ბერდება. ადამიანი მაშინ ჰკითხავს მათ, როცა მოსაწველია, ან უღელში გამოსაქნელად, ან სახორცეს ჩასაბარებლად და ან დასაკლავად სჭირდებათ პატრონებს.

ყველაზე საპასუხისმგებლო დრო მეკამეჩეობაში ადრე გაზაფხულია. მაშინ ფურები ტყეში ზაქებს შობენ. ამ დროს მწველავი გაგარეულებულ კამეჩის მომთვინიერებელი და მომშინაურებელიც არის. გასწევს ტყეში მეძებრით. ახლად მოგებულ ზაქს იპოვნის, მოიტაცებს, მოიყვანს ბინაში, ჩაამწყვდევს და უცდის. მცირეხნის შემდეგ ფურკამეჩი ზაქის კვალს გამოყოლილი ზუსტად მოადგება ბინას. მწველავი ჩამწყვდეულ ზაქთან ახლოს ყოფნას მას არ უშლის ოღონდაც მოსაწოვად არ მიუშვებს. ერთი დღისა და ღამის განმავლობაში ფურს ძუძუები ასტკივდება. მწველავიც ამ მომენტს უცდის. მაშინვე მოწველის და ზაქსაც მოაწოვებს. დიდ სიძნელეს წარმოადგენს კუროების დაჭერა, დაკოდვა და უღელში გამოქნა. ხანდახან კამეჩებს მინდვრად განავარდების ჟინი მოუვლით. შეგროვდებიან ჯოგად, გამოტოპავენ ალაზანს, ამოვლენ გაშლილ მინდორზე. იქ მდელოებზე დარბიან, ჭიდაობენ, რქებითა და ფლოქვებით მიწას სთხრიან, საზარლად ყოყინებენ. მერე უეცრად ისევ აიყრებიან, მიაშურებენ კუნძულს, ეკალ-ბარდებში გაუჩინარდებიან.

## VII

მთიდან დაბრუნებული ცხვარი, გარდამავალი საძოვრებით, ნელა მოეშურება გამოსაზამთრებელ ადგილებისაკენ. მათ იქ ელით შენახული მინდვრები, დამზადებული საკვები, თბილი გომურები. მთიდან ბარისაკენ მიდის, მდინარესავით მიტბორავს ნაიალაღარი მსუქანი ცხვარი. ხანდახან ფარებით მთლად გაიჭედება გზა და მისი ნაპირა მინდორი. მაშინ უფრო გამოცდილი შოფრები მანქანას აჩერებენ, ცხვარს გზას უთმობენ. ცხვრით იყო გაჭედილი ერთი ახალი ხიდი, რომელიც დიდი ხანი არაა დაასრულეს და საექსპლოატაციოდ გადაეცა. ეს ხიდი მეტად ლამაზი და მოხდენილია. შორიდან მოდიან მის სანახავად.

ყვარლის ზემოთ ალაზნის ველი საგრძნობლად ვიწროვდება და მალე, ახმეტასთან ხეობად იქცევა. ალაზნის ზამთრის საძოვრების საზღვრადაც კახელებს ეს ადგილები მიაჩნიათ. როგორც ჩანს ყვარელში მეძროხეობას უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ. იმ კოლმეურნეობას, სადაც თავმჯდომარედ ანდრია ჩხიკვაძეა, მეწველი საქონლის ფერმა, ალაზნის გადმოსახედში, ლაფნის წყაროსთან აუგია. ფერმის მახლობლად წავაწყდით თავმჯდომარის მოადგილეს ადამ ოსეფაშვილს. ეს კოლმეურნე ხელმძღვანელობს წელს ზამთარში მისი კოლმეურნეობის საქონლისათვის საკვების მომარაგებას. ამ დღეებში ადამს ვეებერთელა თხრილები აუვსია ჭყინტლტაროიანი სიმინდის სილოსით. დასახულ გეგმას 200 ტონით გადააჭარბა.

ყვარლის ამ კოლმეურნეობას 600 სული ცხვარი ჰყოლია და თავმჯდომარეს ის უკვე გაუსტუმრებია გამოსაზამთრებლად ივრის ნაპირებისაკენ. ცხვრისთვის თან გაუყოლებია ადგილზე საკვების დამამზადებელი ბრიგადა.

ადგილზე დამზადებული ჩალით, სილოსით და თივით ძროხების კვებას ყვარელში მაშინ შეუდგებიან თუ ყინვა და სიცივე მალე გაუჭერს და ამინდი შეიცვლება. ჯერ კი საქონელი გარეთ, მინდორში ძოვს.

მიდიხართ ცხრაკარას მინდორზე და ხედავთ ძროხისა, ხარისა და კამეჩის ჯოგები შესევიან ჩატაროებულ სიმინდს. თუ საქმის შინაარსს არ იცნობთ, გეგონებათ დიდ დანაშაულს წააწყდით. თურმე საქონელი ამ უკვე მოსულ სიმინდში განგებ არის შეშვებული.

— სიმინდი, — გეტყვის თავმჯდომარე, — ასე, ფეხზე შესაჭმელად დავთესეთ ნაწვერალში.

— მაშ, ჭამონ, შეერგოთ! — ეტყვით თქვენც.

გულში კი ფიქრობთ: ეს მკლავისხელა თეთრი სიმინდის ტაროები ძროხებმა და ცხენებმა რად უნდა შესჭამონო. მაგრამ არაფერი გეთქმით. საქონლის გამოკვების ამ ხერხს ზამთრის პირას კახეთში ბევრი კოლმეურნეობა მიმართავს და ძალიანაც კმაყოფილები არიან.

ძველი, თითქმის ნანგრევებად ქცეულ ცხრაკარას საყდრის სახურავიდან ალაზანი მოჩანს. მდინარე იქვეა ოღეებს გადაღმა. ახლა წყალი სარკესავით გამჭვირვალეა. „ალაზანშია ვურიდით ძროხასა და ჩავყვებოდით თანაცა ჩვენა“ — გაგახსენდება მის დანახვის უმალვე და ცდილობ წარმოიდგინო პოეტის ბავშვობა. გადმოგვცემენ: ილიას ჰყვარებია ცხრაკარას სახურავზე ასვლა და იქიდან ველზე ცქერა. და რაღა გასაოცარია თუ თავისი თვალით უნახავს, მართლაც როგორ ჰყრიდნენ ხოლმე ძროხას ალაზანში გლეხის ბიჭები და თვითონაც შიგ თან ჩაჰყვებოდნენ. აქვეა ქინძმარაულის ვენახები. ქინძმარაულებში კოლმეურნეობას 82 ჰექტარი ვაზი აქვს. მასზე გაპიროვნებულია აგრონომი სოლომონ მათიკაშვილი.

ყვარელს ზემოთ მალე ალაზნის ველებიც ილევა. აგერ ახლოს ალვანია და თუშეთის მთებზე თოვლიც დაუდევს აქა-იქ. მეცხოველე თუშებიც მიეშურებიან თავიანთი ცხვრითა და საქონლით იორის, ალაზნის, და მტკვრის სანაპირო თბილ ზამთრის საძოვრებისაკენ.

# შავი მთა და ცისფერი ცეცხლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახლოებით 50 კილომეტრზე ბაქოდან, აფშერონის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს შავი მთა — ყარადაღი.

ამ ხუთი წლის წინათ ეს იყო თითქმის უკაცრიელი ადგილი. მხოლოდ აქა-იქ თუ მოკრავდით თვალს ჭაბურღილის კოშკებს, მაგრამ საბჭოთა გეოლოგები გულს არ იტეხდნენ და შეუპოვრად ერთიმეორეზე სჭრიდნენ ჭაბურღილებს. მხოლოდ სამოცდამეთვრამეტე ჭაბურღილიდან იფეთქა შადრევანმა. ყოველდღე, 300-400 ატმ. წნევით ჭაბურღილი იძლევა ნახევარ მილიონ კუბიკურ მეტრ მაღალკალორიულ, უვნებელ და იაფფასიან ბუნებრივ აირს და ასორმოცდაათ ტონა კონდენსატს — შესქელებულ თეთრ ნავთობს — ბენზინის, ლიგროინისა და ნავთის შენარევს.

1958 წელს ყარადაღში აირის ახალი ბურღილი დღემდე გაუგონარ სიღრმეში შეიჭრა — 4250 მეტრზე. ეს ულრმესი ბურღილები დღეღამეში 800 ათასამდე კუბიკურ მეტრ აირს იძლევიან.

და აი, ამ შავ მთაზეა დამოკიდებული ახლა, რომ თბილისს, რუსთავს, აზერბაიჯანსა და სომხეთის თავს დაჰყურებდეს უნაპირო ლაჟვარდოვანი ცა, რომ მას არ ბურავდეს შავი კვამლი, ჰაერში არ ტრიალებდეს მაზუთის ჭვარტლი და დიასახლისები გათავისუფლდნენ ნავთზე, შეშაზე, ნახშირზე ზრუნვისაგან.

ჩვენს თავზე ლაჟვარდოვანი ცა იკაშკაშებს და ცისფერი ცეცხლი აგიზგიზდება ღუმელებში.

გავიხსენოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის დადგენილება იმის შესახებ, რომ „აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ქალაქებისა და სამრეწველო წარმოებათა გაზიფიკაციისთვის უახლოეს ორ წელიწადში დასახულია აშენდეს აირსადენი ყარადაღ-აქსტაფა-თბილისი და აქსტაფა-ერევანი“.

ერთსართულიან პატარა სახლში, სადგურ კიროვობადის მახლობლად, სადაც იმავე წლის ზაფხულში მოთავსდა აირსადენის მშენებლობის სამმართველო, შეიძლებოდა იმის გაგება, რომ თბილისსა და რუსთავში აირი ერთი წლით ადრე მოვა, ვიდრე სომხეთში. კიდევ ერთ, ძალზე არსებით დამატებას ყოველივე ამისადმი შეიცავს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლის საკონტროლო ციფრები“ — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის შვიდწლიანი გეგმა. ეს გახლავთ საქართველოში მძლავრი თბოელექტროსადგურის მშენებლობა იმავე ყარადაღის აირის გამოყენებით.

ეს იქნება აირსადენის ხუთას კილომეტრიან ტრასაზე აგებულ ოთხ მძლავრ ელექტროსადგურს შორის მეორე. პირველი უკვე შენდება ალი-ბაირამლის გარეუბანში, რომელიც უახლოეს წლებში იქცევა აზერბაიჯანის ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრად. ეს სადგური ყველაზე ძლიერი იქნება ამიერკავკასიაში, მინგეჩაურის ჰესზე გაცილებით ძლიერი და უფრო იაფიც დაჯდება.

ალი-ბაირამლიდან აირის მაგისტრალი მივა კიროვობადსა და აქსტაფაში. აქსტაფის დასავლეთით მოხდება აირსადენის განშტოება. ერთი შტო წავა თბილისისა და რუსთავისაკენ. ყარადაღის ბუნებრივი აირი რუსთავისთვის ყველაფერია — ძვირფასი ნედლეულიცა და საწვავიც.

აირსადენის მეორე ხაზი გაემართება მაღალ მთებსა და თითქმის მიუდგომელ ხევებში — ერევნისაკენ.

თბილისის ხაზზე სამუშაოები ძირითადად მექანიზებულია. მაგრამ, რაც მთავარია, ამ მექანიზმებს მართავენ ძალზე საინტერესო ადამიანები — ჭკვიანი, მტკიცე ხასიათისა და ნებისყოფის სპეციალისტები. აი ერთი მათგანი — ოსტატი ვლადილენ მაზიშვილი. იგი მთელი თავისი არსებით ქართველია, მაგრამ შორეულ კამჩატკელებს რომ ჰკითხოთ, მაზიშვილი ჩრდილოეთის ღვიძლი შვილია. დაიბადა კამჩატკაში და მრავალი წლის განმავლობაში კომკავშირის რაიკომის მდივანიც იყო კამჩატკის ერთ-ერთ შორეულ რაიონში.

1955 წლის მიწურულიდან მაზიშვილი კომკავშირის საგზურით მუშაობს მაგისტრალურ აირსადენების მშენებლობაზე. მაზიშვილს არ ჩამოუვარდება მექანიკოსი ივანე დმიტრევი. სამამულო ომის წლებში ურალის ერთ-ერთ ქარხანაში დმიტრევმა ჩაიბარა ტანკი, რომლითაც იგი ერთი პირველთაგანი შეიჭრა ბერლინში.

ასეთი ადამიანების გარეშემო ყალიბდება შესანიშნავი კოლექტივი.

...ჩემს უბის წიგნაკში შეტანილი მაქვს ასეთი ჩანაწერი: „პროექტის ავტორი ანატოლი გამოვი (კიევი, აირსადენების დაპროექტების უკრაინის ინსტიტუტი) ლაპარაკობს იმის შესახებ, როგორ გაბედულად მიაბიჯებს წინ თბილისი. „ჩვენ, კიეველებს, — ამბობს გამოვი, — როცა აირგანმანაწილებელ სადგურის ასაშენებლად ადგილს ვარჩევდით თბილისში, გვაჩვენეს ის უბანი, სადაც 1910 წელს სააქციო საზოგადოებას უნდა აეგო აირის ქარხანა. მაგრამ ქალაქის სათათბიროს ხმოსნებმა გამოთქვეს აზრი, ობილისს აირი არაფრად ესაჭიროებაო და საქმე ჩაიფუშა.

... ამჟამად კი თვეები სწყვეტენ საკითხს. წელსვე აზერბაიჯანიდან აირი მოვა თბილისში, რუსთავში — ქარხნებში, ფაბრიკებში, ბინებში და ლაჟვარდოვანი ცა იკაშკაშებს თბილისსა და რუსთავზე და ცისფერი ცეცხლი აგიზგიზდება ღუმელებში.

**ი. მუხაძე**



ყარადაღ-თბილისის აირგაუყვანლობის მშენებლობაზე.



მილების შემდუღებელი ვიქტორ იგნატოვი.



კონტაქტური შედუღების ოპერატორ-შემდუღებელი ვიტალი სერგეევი.

ფოტო ვ. ჯეირანოვიჩა.



# ევგენი მიქელაძე

**გიორგი თაქთაქიშვილი**
პროფესორი, ხელოვნების დამსახ. მოღვაწე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი მიქელაძეს ჩვეულებად არა ჰქონდა რეპეტიციების ჩატარება უპარტიტუროდა და უკლავიროდ, მაგრამ „კარმენის“ ღია რეპეტიცია თბილისის საოპერო თეატრში, 1930 წლის შემოდგომაზე მან ზეპირად ჩაატარა. ეს იყო მისი სადებიუტო გამოსვლა. თავიდან კი არ ჰქონია განზრახვა ზეპირად ედირიჟორნა, მაგრამ სრულიად უბრალო შემთხვევამ გაახელა. იგი უკვე პულტთან იდგა და ის იყო უნდა დაეწყოთ რეპეტიცია, რომ ოპერის მთავარი დირიჟორი ივანე ფალიაშვილი მიუახლოვდა, ყურში რაღაცის თქმა უნდოდა. მაგრამ მიქელაძეს რატომღაც არ ესიამოვნა ეს, და არც აცალა ფალიაშვილს — თავისთვის რაღაც ჩაიდუდღუნა და კლავირი გაბრაზებით დახურა. რეპეტიციის დამთავრებამდე კლავირი არც გაუხსნია. უფრო გვიან, ერთხელ კიდევ ჩაატარა რეპეტიცია ზეპირად. ეს იყო მოსკოვში, როცა იგი თავის პირველ რეპეტიციას ატარებდა რადიოსტუდიაში.

პატარა ინციდენტიც მოხდა მაშინ. მიქელაძემ უცებ შესწყვიტა რეპეტიცია და ორკესტრის ერთ წევრს, რომელიც რაღაც სასულე ინსტრუმენტზე, მგონი ვალტორნზე უკრავდა, შენიშვნა მისცა—ნოტს სწორად არ იღებო. ორკესტრანტმა იუკადრისა, ჩემი დღე და მოსწრება სულ ასე ვუკრავო, და თან გესლიანად დასძინა — უმჯობესი იქნებოდა მაესტროს ნოტებით ედირიჟორნა, მაშინ ასეთი გაუგებრობა აღარ მოხდებოდაო. მიქელაძემ მაშინვე მოატანინა პარტიტურა, გადაშალა და ვოლტორნისტს ის ადგილი აჩვენა, სადაც ეშლებოდა. მეტი რაღა გზა იყო, გამოცდილი ორკესტრანტი მიხვდა თავის შეცდომას. თურმე პარტიაში შეცდომა იყო გაპარული. მიქელაძემ ისევ დახურა. პარტიტურა, უკანვე წაალებინა და რეპეტიცია განაგრძო; ამ თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტმა ძალიან გაუთქვა მიქელაძეს სახელი მოსკოველ ორკესტრანტებს შორის.

რაღა თქმა უნდა, მთავარი ის კი არ არის, რომ ზეპირად დირიჟორობდა. საქმე ისაა, რომ თბილისშიაც, „კარმენის“ რეპეტიციაზე, და მოსკოვშიაც, სიმფონიურ ორკესტრთან მუშაობის დროს, მან ერთბაშად გამოამჟღავნა ჭეშმარიტი დირიჟორის ძალა, აჩვენა, რომ სავსებით ნათლად იყო გარკვეული იმაში, თუ რა უნდა მოეთხოვა შემსრულებელთაგან. იგი ჩინებულად იყო დაუფლებული დირიჟორის ტექნიკას, თანაც შესანიშნავი ხელი ჰქონდა და შეეძლო პრაქტიკულად გაეხსნა ნაწარმოების ფორმა, გადმოეცა მისი მთავარი არსი —ერთი სიტყვით, მან გამოსვლისთანავე დაამტკიცა, რომ პირველხარისხოვანი დირიჟორი იყო, და თავისი საკუთარი სახე ჰქონდა. სავსებით ნათელი იყო, რომ სპექტაკლი „კარმენიცა“ და უფრო ადრე ლენინგრადის სტუდიაში დადგმული მოცარტის „ყველა ასეთია“ მკაფიო ჩანაფიქრს ემორჩილებოდა.

არა ერთხელ უთქვამს მიქელაძეს, რომ „დირიჟორი ყოველთვის მართალია“. ამის თქმისათვის მას ჰქონდა საფუძველი და კიდევაც ამართლებდა თავის პრაქტიკაში. მაგრამ ეს ნათქვამი არ გულისხმობს იმას, თითქოს დირიჟორი მუდამ უცოდველია. იგი ფართოდ უნდა გავიგოთ, სახელდობრ ასე: დირიჟორმა ძირფესვიანად უნდა შეიგრძნოს ნაწარმოები, გააანალიზოს იგი, და დარწმუნებული იყოს თავისი განმარტების სისწორეში. ეს თუ ვერ მოახერხა, სულ ტყუილია, ვერც მსმენელს დაარწმუნებს და ვერც შემსრულებელს, ვერ იმოქმედებს მათზე. მიქელაძე ლენინგრადის კონსერვატორიის დამთავრებისთანავე მიიწვიეს თბილისის საოპერო თეატრის დირიჟორად; ამას, ალბათ, დიდად შეუწყო ხელი მისმა სადებიუტო გამოსვლამ ამავე თეატრში. მაშინვე ნათელი გახდა, რომ მუსიკალურ ჰორიზონტზე დიდი ძალა გამოჩნდა. მომღერალი დავით ანდღულაძე წერს: „მიქელაძის სადებიუტო სპექტაკლმა ჩვენი თეატრის მუსიკალური დონე ერთბაშად გაუთანაბრა იმდროინდელი სხვა მოწინავე მუსიკალური კოლექტივების დონეს“.

თავისი დირიჟორული მოღვაწეობის პირველივე სეზონში, 1931-32 წლებში, ევგენი მიქელაძემ რეპერტუარში აღადგინა გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორის დონიცეტის ოპერა „დონ-პასკუალე“, რომელიც თბილისში პირველად 1853-54 წ. სეზონში დაიდგა. ოპერის დადგმა თეატრის უეჭველი წარმატება იყო და მაყურებელთა დადებითი შეფასებაც დაიმსახურა.

მიქელაძე ოპერაში მარტო მუსიკით არასოდეს არ იფარგლებოდა, იგი ასევე გულისყურით ეკიდებოდა სცენურ მხარესაც, აქტიორის მოძრაობას, ჰქმნიდა მისი სხვადასხვა მხარეების კოორდინაციას. ეს იყო მისი აშკარა ღირსება.

მიქელაძის დირიჟორობას ახასიათებდა ბევრი თავისებურება, უშუალობა, სითბო და გულწრფელობა, რომელიც, როგორც წესი, თითქოს ძალას მატებს ხოლმე პროფესიულ ოსტატობას და აძლიერებს მსმენელზე ზემოქმედებას. ნაწარმოების ტრაქტოვკისას მიქელაძე ნაკლებად იზღუდავდა ხოლმე თავს უკვე დაკანონებული შემსრულებლობითი ტრადიციებით, იგი უფრო თვითმყოფადი იყო.

მართლაც რომ ბრწყინვალედ დირიჟორობდა მიქელაძე ოპერა „კარმენს“. და ეს მით უფრო რთული იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე ოპერას მანამდე მშვენივრად დირიჟორობდა ალ. მელიქფაშაევი. მიქელაძის გადმოცემაში იგრძნობოდა დიდი მკაფიოება და მრავალფეროვნება, ცოცხალი რიტმული პულსაცია და დრამატიზმი, ამავე დროს ოდნავადაც არ შეიმჩნეოდა არც სტილიზაცია, არც ეგზოტიკა, არც რაიმე ნაძალადევობა. მან კიდევ უფრო დაუახლოვა ნაწარმოები ნამდვილ ცხოვრებისეულ დრამას.

რამდენიმე წლის ინტერვალის შემდეგ, 1933-34 წ. ევგენი მიქელაძემ წარმატებით აღადგინა თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარში გენიალური იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის ოპერა „ოტელო“.

მაგრამ მიქელაძის საოპერო-სადირიჟორო ნამუშევართა კულმინაციად უნდა ჩაითვალოს სადეკადო სპექტაკლები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, რომლებიც ჯერ თბილისში და მერე მოსკოვში დაიდგა 1937 წელს. ე. მიქელაძე „დაისის“ შეუდარებელ ინტერპრეტატორად მოგვევლინა, მან შესძლო ასევე გადმოეცა „აბესალომის“ მომხიბლავი სიმდიდრე, მონუმენტურობა, სიღრმე და დრამატიზმი, რელიეფურად გაეხსნა ამ თვითმყოფი და უკვდავი ოპერის სიმფონიური განვითარება. „დაისი“ და „აბესალომი“, ასევე როგორც „აიდა“, „თავადი იგორი“, „ოტელო“, „დონ-პასკუალე“, „კარმენი“ და სხვა, ჩვენ შეგვიძლია მივაკუთვნოთ მის საუკეთესოდ დამუშავებულ ოპერათა რიცხვს; ისინი წარმოადგენენ, აგრეთვე, საუკეთესო ნამუშევრებს საერთოდ, საქართველოს საოპერო-დირიჟორული ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

ვერდის „აიდას“, რომელიც მიქელაძის ერთ-ერთი საყვარელი ოპერა იყო, სენ-სანსის „სამსონ და დალილას“ და სხვა ოპერების დირიჟორობა ივანე ფალიაშვილის გარდაცვალების შემდეგ (1934 წ.) მიქელაძემ განაგრძო.

თეატრის მთავარ დირიჟორად ევგენი მიქელაძე ხდება. ნაციონალური კადრების აღზრდისა და მშობლიური საოპერო-სიმფონიური ხელოვნების განვითარების საქმეში იგი აგრძელებს იმ დიდ საქმეს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა და მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ივანე ფალიაშვილი.

თბილისის ოპერის თეატრში ევგენი მიქელაძე ოცზე მეტ სპექტაკლს დირიჟორობდა. უკვე ჩამოთვლილ ოპერებს გარდა, მას მიჰყავდა, აგრეთვე, ოპერები და ბალეტები: „ბორის გოდუნოვი“, „ევგენი ონეგინი“, „მეფის საცოლე“, „შჩელკუნჩიკი“, „მზეჭაბუკი“ („მთების გული“), „ფაუსტი“, „ტოსკა“ და ბევრი სხვა, რომელთა უმრავლესობას იგი ზეპირად დირიჟორობდა. ოპერების ინტერპრეტაციაში მიქელაძე აქსოვდა მრავალ ახალ, საინტერესო აზრს, მისწრაფებასა და მგზნებარებას, მუდამ იმას ცდილობდა, ნაწარმოების მთავარი არსი გამოევლინებია, ცხოვრებისეულ სიმართლისათვის დაეახლოვებია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა. ბალანჩივაძის პირველი ქართული ბალეტის „მზეჭაბუკის“ შექმნა („მთების გული“ — ლიბრეტო — გ. ლეონიძისა). ბალეტის დამდგმელმა ვახტანგ ჭაბუკიანმა და სპექტაკლის დირიჟორმა ევგენი მიქელაძემ (მხატვრული გაფორმება ს. ვირსალაძისა იყო) ბევრი შრომა მოანდომეს ქართული საბალეტო ხელოვნების პირმშოს შექმნას, და თბილისის ოპერის თეატრში „მზეჭაბუკის“ დადგმის თარიღი — 1936 წლის დეკემბერი—შეიძლება ჩაითვალოს ქართული საბალეტო ჟანრის დაბადების თარიღად.

საბალეტო ხელოვნების განვითარებაში ევგენი მიქელაძის როლი მარტო „მზეჭაბუკით“ როდი განისაზღვრება. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა შალვა თაქთაქიშვილის „მალთაყვას“ განხილვაში, როცა ამ ბალეტის დადგმის საკითხი წყდებოდა; მისივე ინიციატივით ახალი ბალეტის შესაქმნელად მიწვეულ იქნა ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორი ალ. მაჭავარიანი (რომელმაც მაშინ ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ აირჩია).

1935 წელს ჩამოყალიბებული სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდია, რომელსაც დავით ჯავრიშვილი ედგა სათავეში, ევგენი მიქელაძის მუსიკალური ხელმძღვანელობით 1936 წელსვე ახერხებს ჩაიკოვსკის ბალეტ „შჩელკუნჩიკის“ დადგმას. მოსწავლეებთან მუშაობის დროს ევგენი მიქელაძე დიდ ტაქტს, სიყვარულსა და მოთმინებას ამჟღავნებს.

იმ მოკლე ხანში, როდესაც ევგენი მიქელაძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მთავარ დირიჟორად ითვლებოდა (1934-37 წ.წ.), — ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელად კიდევ უფრო მცირე დროის განმავლობაში იყო, — მან მოახერხა შესამჩნევად გაეღრმავებინა და გაეფართოებინა თეატრის შემოქმედებითი მიღწევები.

(გაგრძელება იხ. მე-11 გვ.).



თოვლთან თამაში

ფოტო გ. თიკანაძისა



ფოტო გ. თიკანაძისა

დიდი ხანი არ არის, რაც ბაკურიანი საკავშირო მნიშვნელობის სათხილამურო ბაზად იქცა. არა მარტო ჩვენი ქვეყნის შორეულ კუთხეებიდან, აქ უცხოეთიდანაც ჩამოდიან ზამთრის სპორტის ცნობილი ოსტატები. ამას გარდა ბაკურიანი მშვენიერ საკურორტო ადგილად ითვლება წელიწადის ყოველ დროს. ზამთარ და ზაფხულ ქშენით ასკდება ბორჯომის ხეობის აღმართებს კოლოფის ოდენა ვაგონები და მიჰყავს სპორტსმენები და დამსვენებლები მზისა და თოვლის სამეფოში, სადაც მათ ელოდება სიხარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება.



შესვენება



მალხაზი

ცხრაწყაროსაკენ



მარჯვე ნახტომი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრაწყაროს ქედზე

ფოტო გ. თიკანაძისა

# გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ გასული წლის დეკემბერში აღნიშნა ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის ალექსანდრე პეტრეს ძე წ უ ლ უ კ ი ძ ი ს დაბადების 70 წელი და მეცნიერულ-პედაგოგიურ-საექიმო პრაქტიკული მოღვაწეობის 45 წლისთავი.

ა. პ. წულუკიძე ამთავრებს 1913 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს და ამავე წლიდან იწყებს სოფლის ექიმის პრაქტიკულ მუშაობას გუნიბში. პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებისას (1914 წ.) იგი ჯარში იქნა გაწვეული. 1916 წლიდან ა. წულუკიძე მუშაობს თბილისის ერთ-ერთ დიდ ლაზარეთში ქირურგად, ხოლო 1918 წლიდან კი მუშაობას იწყებს ყოფილ მიხეილის საავადმყოფოში (ამჟამად რესპუბლიკური ცენტრალური საავადმყოფო), მის ქირურგიულ განყოფილებაში, საქართველოში მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებელთან გ. მ. მუხაძესთან, სამედიცინო ინსტიტუტის ასისტენტის თანამდებობაზე. ქირურგიულ კლინიკაში მუშაობის დროს მან საკმაო თეორიული მომზადება და კლინიკურ ქირურგიაში მუშაობის ჩვევები შეიძინა.

1927 წელს ქალაქის I საავადმყოფოში (ქ. თბილისში) მან დააარსა უროლოგიური განყოფილება, რომელსაც 30 წელიწადზე მეტია სათავეში უდგას. ამ განყოფილების გახსნით საძირკველი ჩაეყარა საქართველოში მოსახლეობის უროლოგიურ მომსახურებას და დღესდღეობით იგი უროლოგთა მომზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამჭედლოა.

პედაგოგიურ სარბიელზე ხანგრძლივმა მუშაობამ (1919 წლიდან 1930 წლამდე დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო 1930 წლიდან იგი პროფესორი, კათედრის ხელმძღვანელია) მას დიდი გამოცდილება შესძინა.

ა. პ. წულუკიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი უმაღლესი სამედიცინო განათლების ორგანიზაციაში. გარდა იმისა, რომ იგი აქტიური მონაწილეა თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ზრდისა და განვითარებისა, იგი თავის დროზე საქმის კარგი ცოდნით და დიდი ენერგიით ხელმძღვანელობდა ექიმთა კადრების მომზადებას ჯერ სამედიცინო და სტომატოლოგიურ ინსტიტუტებში, ხოლო 1935 წლიდან ექიმთა დახელოვნების თბილისის სახ. ინსტიტუტში. 1932 წელს პროფ. ა. პ. წულუკიძის ინიციატივით თბილისის სამედიცინო ინსტიტუტთან ქ. I საავადმყოფოს ბაზაზე დაარსებულ იქნა უმაღლესი სასწავლებელი ექთანებისათვის, რომელიც ორი წლის მუშაობის შემდეგ შეუერთდა სამედიცინო ინსტიტუტს. ამ ღონისძიების საშუალებით მრავალმა ექთანმა მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება და ექიმის კვალიფიკაცია.

ა. პ. წულუკიძის სამეცნიერო მუშაობა ხასიათდება მრავალფეროვნებით. თავის სამეცნიერო კვლევითი მუშაობით მან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა მეცნიერების საგანძურში. ა. წულუკიძემ გადაჭრა მრავალი აქტუალური საკითხი ქირურგიისა და უროლოგიის პათოლოგიაში. ა. პ. წულუკიძემ პირველმა გამოიყენა ქირურგიული ინფექციის წინააღმდეგ ბაქტერიოფაგი. მან დაამტკიცა როგორც კლინიკაში, მშვიდობიან დროს, ისე ჰოსპიტლებში, ფრონტის პირობებში, ჯერ კიდევ თეთრფინელებთან ომის დროს, ბაქტერიოფაგის დიდი სამკურნალო ღირებულება. ა. პ. წულუკიძემ საფუძვლიანად შეისწავლა თირკმლის კენჭოვანი დაავადების წარმოშობის მიზეზები და დააზუსტა ჩვენში მისი გავრცელების რაიონები. მან მოგვაწოდა მთელი რიგი ორიგინალური ოპერაციები საშარდე ორგანოებზე, რომელთა წყალობით არა ერთ ასეულ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე, ახლებურად დააყენა საკითხი საშარდე ორგანოების სიმსივნეების რაციონალური მკურნალობისა. ჯერ კიდევ 1931 წელს თავისი მეცნიერული გამოკვლევებით და პრაქტიკული დაკვირვებებით ა. პ. წულუკიძემ პირველმა დაამტკიცა საირმის მინერალური წყლების დიდი თერაპიული ღირებულება, რაც შემდეგ წლებში სავსებით დადასტურდა, და რის გამო საირმის მინერალური წყლები სადღეისოდ მეტად პოპულარულია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ კავშირში. ა. პ. წულუკიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი მედიცინის ისტორიის შესწავლაში. მას ეკუთვნის მონოგრაფიული გამოკვლევა „ქართველი ექიმები XIX საუკუნეში", რომელშიც გამოუქვეყნებელ საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე მოგვცა ჩვენში სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარების სურათი XIX საუკუნის მანძილზე.

ა. პ. წულუკიძის კალამს ეკუთვნის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქირურგიის და უროლოგიის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებზე ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გამოქვეყნებული. მასვე ეკუთვნის ფუნდამენტალური უროლოგიური სახელმძღვანელოები ქართულ და რუსულ ენებზე, რომლებიც დღეს გავრცელებული და პოპულარულია მთელ ჩვენს კავშირში.

ა.პ. წულუკიძის ხელმძღვანელობით მისი მოწაფეების მიერ გამოქვეყნებულია 256 სამეცნიერო ნაშრომი და, აგრეთვე, 18 საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაცია. ა. პ. წულუკიძის მიერ მომზადებულია მოწაფეთა მთელი თაობა, რომლებიც ეწევიან მის მიერ შექმნილ უროლოგიური სკოლის ტრადიციებზე პრაქტიკულ მუშაობას ჩვენს რესპუბლიკაში, ხოლო ზოგი მათგანი სათავეში უდგნენ და დღესაც უდგანან კათედრებს და განყოფილებებს ჩვენს სამედიცინო და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებში.

მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო ა. პ. წულუკიძის მუშაობა რესპუბლიკის მთავარი ქირურგის პოსტზე დიდი სამამულო ომის პერიოდში — 1942-1945 წწ. დიდმა ქირურგიულმა მომზადებამ, ჩვენი ქვეყნის ქირურგთა კადრების კარგად ცოდნამ და მათმა სწორად განაწილებამ; ევაკოჰოსპიტლების ქირურგიული მუშაობის მისთვის ჩვეულებრივი ენერგიით ხელმძღვანელობამ თავისი ნაყოფი გამოიღო და საბჭოთა საქართველოს ევაკოჰოსპიტლები თავისი მუშაობის მაჩვენებლებით ყოველთვის საპატიო ადგილს იჭერდნენ მთელ კავშირში.

ა. პ. წულუკიძე დაუცხრომელი საზოგადოებრივი მუშაკია. მისი თაოსნობით 1933 წელს თბილისში დაარსებულ იქნა საქართველოს ექიმთა საზოგადოების უროლოგიური სექცია, რომლის მუშაობას იგი წარმატებით უძღვებოდა როგორც მისი თავმჯდომარე, ხოლო შემდეგში — უროლოგიური საზოგადოების დაარსებისას — ა. პ. წულუკიძე მისი საპატიო თავმჯდომარეა. ა. პ. წულუკიძე სსრ კავშირის უროლოგიური საზოგადოების საპატიო წევრია 1951 წ., 1947 წლიდან იგი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს წევრია.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ა. პ. წულუკიძის მოღვაწეობა; იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი და შრომის წითელი დროშის ორდენებით და, აგრეთვე, მედლებით. ა. პ. წულუკიძე 1941 წლიდან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა, 1945 წლიდან სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 1955 წელს იგი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია და აკადემიაში წარმატებით ხელმძღვანელობს სამედიცინო მეცნიერების განყოფილებას.

პროფ. ივანე ნიკობაძე

---

„შემოქმედებითი სიხარული და ხელოვნებისათვის ახალ-ახალი ძალების მომზადება— აი რა არის ჩემი ცხოვრების შინაარსი. და მუდამაც ასე იქნება", — წერდა ევგენი მიქელაძე. ამ ახალი ძალების მომზადებას იგი აწარმოებს არა მარტო სპეციალური სასწავლებლების კედლებში, არამედ ყველგან, სადაც კი მუშაობს და მოღვაწეობს, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

პედაგოგიურ მუშაობას თბილისის კონსერვატორიაში იგი 1932 წლის ოქტომბერში იწყებს და მას შემდეგ პირნათლად ემსახურება ამ საპატიო და საყვარელ საქმეს. სათავეში უდგას სტუდენტთა სიმფონიურ ორკესტრს, საფორტეპიანო ანსამბლებს, ხელმძღვანელობს დირიჟორობის სპეციალურ კლასს, კონსულტაციას უწევს საოპერო სტუდიის წევრებს. მუშაობის დაწყების პირველსავე დღიდან იგი იხვეჭს სტუდენტ ახალგაზრდობისა და თავისი კოლეგების დიდ სიყვარულსა და პატივისცემას. მის მეცადინეობას ბევრი მოხალისეც ესწრება, განსაკუთრებით — სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციებს.

1932 წლის დეკემბერშივე სტუდენტთა ორკესტრი ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით პირველ საჩვენებელ კონცერტს მართავს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ხანად ცალკე სიმფონიური ორკესტრი ქალაქში არ ყოფილა. ამ კონცერტებმა დაამტკიცეს, რომ ევგენი მიქელაძე ღირსეულად აგრძელებს კარგ ტრადიციას და ამ საქმეში მთელს თავის ახალგაზრდობასა და შემოქმედებით წვას, თავის ბრწყინვალე დირიჟორულ ტალანტსა და ახალგაზრდობის განსაკუთრებულ სიყვარულს აქსოვს. ახალგაზრდობაც ასეთივე სიყვარულით უპასუხებდა მას. 1933 წელს მიქელაძე აყალიბებს პროფესიონალურ სიმფონიურ ორკესტრს და გაბედულად შეჰყავს მასში თავისივე მოწაფეები სტუდენტთა ორკესტრიდან, პირადად ამეცადინებს მათ.

მისი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველსავე წლებში კონსერვატორიის სასწავლო ნაწილის გამგედ ვიყავი და უნდა გამოვტყდე, მიკვირდა, როცა მის თანდაყოლილ პედაგოგიურ ნიჭს, მის ტაქტსა და, — ხიბლჯითეს ვხედავდი. ალბათ, იგი ამითი სხვებსაც აძლევდა მაგალითს





სოსო იორამაშვილი

მხატვარი ზ. ლეჟავა

მოთხრობა

— Იცი რა უნდა გიამბო? რომ იძახიან—„რაც გინახავს ველარ ნახავო", — არ არის მართალი. ზოგჯერ, თურმე, ნაწილობრივ მაინც ნახავს კაცი.— მითხრა ერთხელ ვასილმა და სახეში შემომაშტერდა. უნდოდა გაეგო, მისი ნაამბობის მოსმენის ხასიათზე ვიყავ თუ არა და, როცა დარწმუნდა, რომ ნათქვამით დავინტერესდი, დაიწყო:

— გასულ ზაფხულს სოფლიდან დედაჩემის წერილი მივიღე, რომლითაც ჩვეულებრივ მშობლიურ საყვედურების გარდა, კონკრეტულ დავალებასაც მაძლევდა: — ვენახი მიხმება, ყველას თავისი საქმე გასჭირვებია, მომრწყველი ვერავინ ვიშოვნე და როგორმე შენ თვითონ მოახერხე ამოსვლაო.

კაცმა რომ თქვას, სამსახურიდან განთავისუფლება, ორიოდე დღით, ჩემთვის დიდი ამბავი არ იყო, მაგრამ რატომღაც ფეხს ვითრევდი. აგერ ოცდაათი წელიწადია წამოსული ვარ სოფლიდან დ ასეთი საქმეებისათვის ამ ხნის განმავლობაში დედაჩემს აღარ შევუწუხებივარ. ახლა კი, როგორც ეტყობოდა, ნამდვილად გასჭირვებოდა, თორემ წინათ თვითონ ის მიკრძალავდა ხოლმე ვენახში მუშაობას. „იმიტომ გამოგიყვანე ინჟინერი, რომ ბიჩავი ჩემი ქმარ-მაზლებივით ისევ თოხს უჩაკუნებდეო". რაღას ვიზამდი? გავნთავისუფლდი რამდენიმე დღით და წავედი იმ იმედით, რომ იქნებ მე მაინც მეშოვნა ვინმე დამხმარე, მაგრამ, როდესაც სოფელში ავედი და ერთი ორმა კაცმა მოუცლელობის გამო უარი მითხრა, გამოვიცვალე ტანისამოსი და ისევ მე ჩავუგდე წყალი ვენახში. ჩავუგდე და უნდა ვაღიარო, ძალიან დიდი სიამოვნებაც განვიცადე. თითქოს ჩემი დაკარგული ბავშვობა მეპოვნოს, ისე მესიამოვნა, ფეხშიშველა რომ ნარწყავ ვენახში გავიარე. თვალნათლივ აღსდგა განვლილი ტკბილი დღეები, მამის ხსოვნა, რომლის უშუალო დავალებითაც ვასრულებდი ხოლმე ამ ვენახში სხვადასხვა სამუშაოებს — ბარვას, თოხნას, მორწყვას, ბალახის გამოთიბვას და ათას წვრილმანს.

აი, ახლაც, ძველებურად მოლუკლუკობს ნაკადული სარწყავ რუში, ათასნაირად იჩლექს ენას და სიცხისაგან დაყურსულ ვაზებში სიცოცხლე შეაქვს. მე კი ვზივარ რუს პირას და ჩემს თვალწინ მეორდებიან ოცდაათი წლის წინანდელი სურათები. ყველაფერი თითქმის იგივეა. აგერ წყალმა წინანდებურად ოდნავ შეყვითლებული გულაბი ჩამოატარა, რომელსაც წინა კბილების ნამჭდევები ეტყობა. ალბათ ვიღაც სულწასულმა ონავარმა ჩაკბიჩა თავისი ნაფოტა კბილებით, გემოთი აღარ მოეწონა და გულაბი რუში ისროლა, მშობლები არ გამიჯავრდნენო. აი, კიდევ მწიფე თაფლმსხალას მოატივტივებს ნაკადულის პატარა ტალღები, მას მოჰყვებიან ისევ იმ ონავრის მიერ დაკბილული ქლიავები, ოტურები, გვერდწითელი მსხალი. და საკვირველია, აი ის, რაც არასოდეს არ დამვიწყებია და, მგონია, სანამ ცოცხალი ვიქნები, არც დამავიწყდება — თებროანთ წითელი ვაშლი. ვაშლის დანახვაზე გულმა რეჩხი მიყო და თითქოს ქურდობაში დავეჭირე ვისმე, იმ ვაშლივით გავწითლდი.

განცვიფრებული წამოვხტი და რუს შევყევ სათავისაკენ. ნუთუ ისევ დგას ის ვაშლი რუს პირზე და ჯერ კიდევ არ გამხმარა? მინდა ერთხელ კიდევ შევავლო თვალი. მართალია, თებრო იქ აღარ მეგულება, რადგან იგი უკვე თბილისში ცხოვრობს. მოსკოვში ჩემი წასვლის სამი წლის შემდეგ გათხოვდა და „ჩემს ჯიბრზე, უკეთესი ბიჭი შეირთო". მაშინ მართალია, ძალიან მეტკინა გული, მხოლოდ გარეგნულად არ შევიმჩნიე და თითქოს სრულიად გულგრილად შევხვდი ამ ამბავს, მაგრამ კიდევ კარგი, გულში ვერავინ ჩაიხედავდა, თორემ, ასე რომ მომხდარიყო, ქვეყანა გაიგებდა, რომ მე სასტიკად ვნანობდი. აჰ, რა ვუთხრა თებროს? რას მეჯიბრებოდა ის კაი ქალი? ცოტაც მოეთმინა და მე ნამდვილად სხვა ქალის შემრთველი არ ვიყავ. ბოლოს დავდინჯდებოდი და ისეთ სისულელეს აღარ ჩავიდენდი. მეც მის „ჯიბრზე" მოსკოვიდან იქაური ქალით ჩამოვედი. მალე გამოირკვა, რომ ერთმანეთს ვერ შევეწყეთ, მე ჩემი მომწონდა, მას თავისი. ვერც ერთმა ვერ დავუმტკიცეთ ჩვენი უპირატესობა და ამ ნიადაგზე ხშირად გვქონდა უსიამოვნება. ბოლოს ერთმანეთს დავცილდით.

მაგრამ მოდი ამას დავანებოთ თავი. წითელმა ვაშლმა ძველი ჭრილობა გამიხსნა. ასე ვიცოდით ხოლმე უწინ: მე რომ ვენახში წყალს ჩავუგდებდი, თებრო თავიანთ ვენახიდან წითელი ვაშლებით მელაპარაკებოდა. ამოსჭრიდა რამდენიმე ვაშლზე თავისი და ჩემი სახელის პირველ ასოებს და გამოატანდა წყალს. რამდენიმეს იმიტომ, რომ შეიძლებასადმე რუსპირზე ამოსულ ბალახებში გაჩხირულიყო და ჩემამდე ერთ-ერთს მაინც ჩამოეღწია. მაგრამ ეს რომ ვიცოდი, ისე გავასუფთავე რუს პირები, რომ რამდენ ვაშლსაც გამოატანდა წყალს, ყველა უკლებლივ ჩემთან ჩამოდიოდა და მეც შევყვებოდი ხოლმე რუს ზევით. თებრო თავიანთ ვენახის ლობეზე გადმოდგებოდა, მე ორღობეში ბარით ვიდექი და ვლაპარაკობდით ჩვენს ჯერ შეუცნობელ ვარდისფრად მოხატულ მომავალზე. მართალია, ვენახში გადასვლას ვერა ვბედავდი, რომ უფრო ახლოს ვყოფილიყავ ჩემს სათაყვანებელ არსებასთან, მაგრამ ჩემზე ბედნიერი იმ წუთში დედამიწის ზურგზე ნამდვილად არავინ მეგულებოდა.

ყოფილა შემთხვევა, თებროს ვაშლებით გამოვუძახნივარ, ავყოლივარ რუს და ის კი დამმალვია. განგებ თავის ბიძაშვილ თინას შემახვედრებდა ხოლმე. მე მის ცბიერ შეკითხვაზე, თუ რისთვის ავყევი რუს, მოვიმიზეზებდი ხოლმე — წყალი დამიწყვიტა ვიღაცამ-მეთქი. ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ თებროს კისკისი შემომესმებოდა და მეც აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ.

...ოცდაათი წლის შემდეგ მივყვები ნაცნობ რუს პირებს. ყველაფერი თითქმის ისევ ისეა, მხოლოდ მე აღარ ვარ ის უცოდველი ვასა. მას უკან ათასმა უბედურებამ გადაიარა ჩემს თავზე და ბევრი რამ უკვე აღარ მაღელვებს, მხოლოდ, რაც თებროანთ ვენახს ვუახლოვდები, გული ისევ საამოდ მიწყებს ძგერას. აი უკვე მათი მსხმოიარე წითელი ვაშლიც გამოჩნდა რუს პირზე. თებროანთ ვენახში ლობის ახლოს ხალხი შევნიშნე, ჩემთვის ყველა უცნობი, გარდა თებროს დედისა, იგი თითქმის ისევ ის მაროა, როგორსაც ამ ოცდაათი წლის წინათ ვიცნობდი. მართალია, ცოტა წელში მოხრილა, მაგრამ ჯერ ისევ მხნედ გამოიყურება. სალამი მივეცი და არ შევჩერებულვარ. მხოლოდ შეკითხვაზე — დღეს გაათავებ თუ არა რწყვასო,— ვუპასუხე, ხვალაც მოვუნდები-მეთქი, და ისე განვაგრძე გზა რუს სათავისაკენ. იმ დღეს მართლაც რაკი ამოუწმენდავი კვლები იყო, ბევრი ვერაფერი ბარაქა დავდე რწყვას. მთელი წყალი ნაბარში ითქორებოდა და იჟღინთებოდა მიწა. მეორე დღეს კი გაადვილდა საქმე. პატარ-პატარაზე ვუნაკადლებდი და წყალიც გიჟი მოზვერივით მომდევდა.

ის იყო უკანასკნელ კვალზე უნდა მიმენაცვლებინა, რომ კიდევ ნაცნობი წითელი ვაშლები ჩამოატივტივა წყალმა და ისე უბრალოდ, შემთხვევით კი არა, ჩემდა განსაცვიფრებლად იმ ჩემი ძველი ნაცნობი წარწერით თ.+ვ.

სულ დავიბენი. აღარ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავ. ნუთუ თებრო აქ არის? მაშ რატომ არავინ არაფერი მითხრა ამის შესახებ? თუმცა რატომ უნ-

და ეთქვათ? მე ხომ არავისთვის არ მიკითხნია. აი ახლაა ბიჭობა, ვასილ ჩემო, — ვეუბნები ჩემს თავს.—აბა შეხვდი თებროს და უთხარი რაც აქამდე გქონდა გულში მის სათქმელად. ყველაფერი მეორდება.—ვფიქრობ ამას და თან სათავისკენ მივძუნძულებ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის? რაც ამ ოცდაათი წლის წინათ მინახავს, ისევ უნდა ვნახო. გუშინ ხომ თებროს გარდა ყველაფერი ვნახე, ახლა იმასაც ვნახავ და გაბათილებული იქნება ყარაჩოხელი გიჟუას ფილოსოფია — „რაც გინახავს ველარ ნახავო". აბა მიყუროს, თუ ვერა ვნახავ. რა მნიშვნელობა აქვს, თუ ცოტა მობერებული და დასქელებული იქნება ნაჩემარი თებრო, ჩემს თვალში იგი ისევ ლამაზი იქნება, მეც ხომ სინამდვილეში ის ვასა აღარა ვარ, მეც ხომ შემითეთრდა თმები და ოციოდე კილოგრამითაც დავმძიმდი, მაგრამ არც ამას აქვს დიდი მნიშვნელობა, საქმე გულია. გული კი აი, როგორ მიმაძუნძულებს ამ ხნის კაცს მაშინდელივით.

ველაპარაკები ჩემს თავს და ნაბიჯს ვუმატებ. უკვე თებროანთ ვენახიც გამოჩნდა, წითელი ვაშლიც, ლობის ის ადგილიც, სადაც თებრო გადმოდგებოდა ხოლმე და, ღმერთო ჩემო! ამას რას ვხედავ? ლობესთან თებრო დგას, ისევ ის თებრო—რის მობერებული! თვრამეტ-ცხრამეტი წლისა რომ მახსოვს, სწორედ ისეთი. მხოლოდ უფრო დახვეწილი. თუმცა უცებ ვრწმუნდები, რომ ეს თებრო არ უნდა იყოს, მისი ორეულია-მეთქი და უხმოდ მინდა გვერდი ავუარო. მაშ ვაშლზე ვილამ ამოჭრა თ.+ვ. ეს ხომ მე და მის მეტმა არავინ იცის. ალბათ, ისიც აქ სადმე იქნება მიმალული და, ძველებურად სიცილს დამაყრის-მეთქი და სათავისკენ გავწიე, რომ თებროს სიცილის ნაცვლად სრულიად უცნობი ხმა მომესმა:

— ბიძია ვასილ! წყალი ხომ არავინ დაგიწყვიტაო, — და გავშეშდი. ხან ასე იცოდა ხოლმე თებრომაც, როცა მარტო იყო, დამემალებოდა. მე ვეძებდი, ვეძებდი მათ ვენახში, ოროლბიდან ვყელყელაობდი და როცა თავს დავანებებდი და წავიდოდი, მაშინ დამიძახებდა:

— ვასა! წყალი ხომ არავინ დაგიწყვიტაო, — და მეც სიხარულით გავიბადრებოდი ხოლმე, მაგრამ ახლა კი, მიწა რომ გამხეთქოდა, ის მერჩივნა. ეტყობოდა, იმ ლაწირაკი გოგოსათვის დედას უამბნია ჩვენი საიდუმლოებანი და იმანაც გამამასხარავა. ამოდენა კაცი ჩვენი ვენახიდან ამომაძუნძულა, მაშ სასაცილო არ ვიყავ?

ამ უხერხულობიდან ისევ ლიანამ გამომიყვანა (ასე რქმეოდა თებროს ორეულს).

— მაპატიეთ, ბიძია ვასილ, ასეთი კადნიერება. ერთხელ დედამ მიამბო წითელი ვაშლების საიდუმლოება და ძალიან დამაინტერესა. გუშინ დიდედამ მითხრა, ვინცა ბრძანდებოდით და გადავწყვიტე, როგორც მსახიობმა, დედაჩემის ოინები გამეხსენებინა თქვენთვის, არ ვიცი, როგორ შევასრულეო.

რაღას ვიზამდი. მეთქვა, რომ დედას ნუ ეტყვიმეთქი, ტყუილი თხოვნა გამომივიდოდა. ვიფიქრე ამ ალქაჯ გოგოს რა დაადგება პირზე-მეთქი და ისევ შევაქე, კარგი მსახიობი ყოფილხართ, ნამდვილი თებრო მეგონეთ-მეთქი.



# შირვანზადეს ორი წერილი

გამოჩენილ სომეხ მწერალს, სომხური კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს ალექსანდრე შირვანზადეს, რომელსაც თბილისში უხდებოდა ცხოვრება, მეგობრულ-ამხანაგური დამოკიდებულება ჰქონდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან—მწერლებთან, მსახიობებთან და სხვ.

შირვანზადეს ორი რუსულად დაწერილი წერილი, გაგზავნილი მისგან მიხეილ მაჩაბელთან, იმ ამხანაგური დამოკიდებულების მაჩვენებელია, რაც სომეხ მწერალს ჰქონდა ქართველ თანამეკალმეებთან და რაზედაც იგი პუბლიცისტურ წერილებში წერდა.

მიხეილ ვახტანგის-ძე მაჩაბელი (1858-1927), რომელსაც შირვანზადე ორ წერილს უგზავნის, საზოგადო მოღვაწე იყო, წევრი რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოებისა, მცოდნე სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკისა, რედაქტორი საზოგადოებრივ-სალიტერატურო გაზეთის „ზაკავკაზიესი".

შირვანზადეს პირველი წერილი მიხეილ მაჩაბლის მიმართ, დაწერილი 1911 წელს, დაკავშირებულია სომეხი მწერლის სალიტერატურო მოღვაწეობის ოცდაათი წლის იუბილესთან, რაც აღნიშნულ წელს შესრულდა და აღინიშნა კიდეც. გაზეთ „ზაკავკაზიეს" და მის რედაქტორს მიხეილ მაჩაბელს, რასაკვირველია, უნდოდათ სათანადოდ გამოხმაურებოდნენ სომხური ლიტერატურის ისეთი წარმომადგენლის იუბილეს, რომელსაც ოცდაათი წლის ლიტერატურული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი სახელი ჰქონდა მოპოვებული, რომლის თხზულებები იმ დროს უკვე იყო თარგმნილი ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე. როგორც ჩანს მიხეილ მაჩაბელს თვით შირვანზადესათვის მიუმართავს, ვინ იკისრებდა საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მიმოხილვის დაწერას. შირვანზადეს მიხ. მაჩაბლისათვის ურჩევია ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი მიკირტიჩ ვანეციანი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა და სომხური გაზეთის „ორიზონის" თანამშრომელი იყო და წერილი გაუგზავნია მიხ. მაჩაბლისათვის. „დიდად პატივცემულო მიხეილ ვახტანგის ძევ! მე გირჩევთ ფილოსოფიის ახალგაზრდა დოქტორს მიკირტიჩ ვანეციანს, რომლის შესახებაც შემთხვევა მქონდა თქვენთან მელაპარაკა. ვფიქრობ იგი მეტად სასარგებლო დადგება „ზაკავკაზიესათვის". ყოველ შემთხვევაში, მის პატიოსნებასა და წესიერებაში შეგიძლიათ სრულიად მერწმუნოთ. მაგრად გართმევთ ხელს თქვენი შირვანზადე". წერილი დაწერილია თბილისში 1911 წლის 2 მარტს.

მიხეილ მაჩაბელს თავისი მეგობრის — შირვანზადეს რეკომენდაციით მ. ვანეციანი გაზეთის თანამშრომლად მიუწვევია, უმთავრესად შირვანზადეს ბიოგრაფიისა და შემოქმედების მიმოხილვის დასაწერად საიუბილეო დღეებისათვის, რაც იმ წლის 23 მაისს უნდა აღნიშნულიყო თბილისის ლიტერატურული საზოგადოებრიობისაგან.

მ. ვანეციანს მიხ. მაჩაბლისათვის, აგრეთვე, ბარათი გაუგზავნია, ბოდიშის მოხდით, იმისათვის, რომ „ზაკავკაზიესათვის" მარტსა და აპრილში მასალა ვერ მოუწოდებია. „ახლა კი უფრო მეტი თავისუფალი დრო მაქვს და უფრო ხშირად დავწერ. გიგ-


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. შირვანზადე და მსახიობები: ო. აბელიანი და ნიკო გოცირიძე კისლოვოდსკში.

ზავნით შირვანზადეს ბიოგრაფიას. შემდეგ წერილში მოცემული იქნება შირვანზადეს შემოქმედების დახასიათებაო". მ. ვანეციანი პოსტსკრიპტუმში ურთავდა: „შირვანზადემ მითხრა, თქვენ მისი პორტრეტის კლიშე გდომებიათ. მე გიშოვით კლიშეს იმ დღისათვის, როცა ბიოგრაფია დაიბეჭდებაო".

მიხეილ მაჩაბლის გაზეთი შირვანზადეს საიუბილეოდ 1911 წლის მაისში რამდენიმე დღეს აქვეყნებდა მასალებს მწერლის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. „ზაკავკაზიე" გულთბილად და მეგობრულად გამოეხმაურა სახელმოხვეჭილი სომეხი მწერლის და სომხური ლიტერატურის ზეიმს. იმ დღეებში გაზეთმა დაბეჭდა შირვანზადეს რომანის „ქაოსის" ორი თავის თარგმანი, ვრცელი მიმოხილვა მწერლის ლიტერატურული ღვაწლისა და ხელმოუწერელი ვრცელი ბიოგრაფია, რაც, ცხადია მ. ვანეციანს ეკუთვნის. გაზეთმა დაბეჭდა, აგრეთვე, კლიშე და საიუბილეო ქრონიკა.

შირვანზადეს მეორე წერილი იმავე წელსაა დაწერილი (1911 წ. 14 აგვისტო) და გამოგზავნილია დელიჟანიდან თბილისში. წერილში შირვანზადე მიხეილ მაჩაბელს სთხოვს შუამდგომლობას ამ უკანასკნელის ძმასთან — სოლომონ მაჩაბელთან, რომელსაც ელიზავეტოპოლის გუბერნიის სამიწათმოქმედო და სახელმწიფო მამულთა სამმართველოს უფროსის მოადგილედ უმუშავია, რომ მიელო ადგილი დელიჟანში აგარაკის ასაშენებლად. შირვანზადე მიხეილ მაჩაბელს მიმართავს, როგორც „პატივცემულ თანამოძმეს" და სთხოვს დახმარებას მისთვის ამ მნიშვნელოვან წამოწყებაში.

შირვანზადეს ეს ორი, სხვადასხვა ხასიათის წერილი საბუთია იმ ახლო მეგობრული დამოკიდებულებისა, რაც ქართველ და სომეხ მოწინავე ინტელიგენტურ ძალებს აერთიანებდა წინათ. უბრალო საქმიან ბარათებში გამოსჭვივის მათი გულითადი ამხანაგობა.

**ს. ხუციშვილი**

# ჩემი სახლი

კლიმენტი გოგიავა

პატარა, შეხუთულ ოთახში ოთხნი იყვნენ. ოჯახის დედა, ქალარა, მაგრამ ჯან-ღონით სავსე ოლია ფანჯარასთან იჯდა და თოვლით გადათეთრებულ ქუჩას გაჰყურებდა, მის შვილს ნოდარს მაგიდაზე წიგნი გაეშალა და ოდნავ გასაგონი ხმით კითხულობდა, რძალი ცისანა ღუმელთან კველაზე იჯდა, კალთაში ბუთხუზა გელა ჩაეწვინა და ალუ-ალუს ეღუღუნებოდა.

მაგიდის თავში გაკრიალებული თეფშები, კოვზები და ჩანგლები ელაგა. მთვარესავით მორკალული შოთი გრძლად იდო, ხოლო ღუმელზე შემოდგმულ ქვაბს ცისანა დროდადრო კოვზით ურევდა,

ეს იყო გიორგი დათუაშვილის ოჯახი, გამრჯე ოლიამ სადილი დროზე მოამზადა, მაგრამ თვითონ ოჯახისთავი არ ჩანდა. არასოდეს არ დაუგვიანებია, ხელფასის დღეც არ არის, რომ სასადილოში ყელის ჩასასველებლად შესული სუფრას შეჰყოლოდა!

ჯერ ლუკმა არ ჰქონდათ მოტეხილი, კარი რომ გაიღო. გიორგიმ პალტოს ქვეშიდან მილივით დახვეული ქაღალდი მაშინვე ამოაცურა.

— აჰა, როგორც იქნა, მოვიტანე!

მან გაზეთივით ფართო ქაღალდი გაშალა და მაგიდის ბოლოს ნოდარის წიგნებზე გადაფინა. ეს არ იყო უბრალო ქაღალდი, არქიტექტორი დიდხანს ფიქრობდა და ხაზავდა მას, რომ გიორგი დათუაშვილს რიგიანი სახლი გამოსვლოდა. ნოდარიმ ნახაზს ასავალ-დასავალი მაშინვე გაუგო, ის ხომ მომავალი ინჟინერი იყო, კიდევ ერთი წელიწადი და დიპლომსაც მიიღებდა.

სადილი და შიმშილი ყველას დაავიწყდა, ნოდარი პროექტზე დაიხარა და დაიწყო:

— აქ იქნება სასტუმრო ოთახი... აქ დასაძინებელი, გვერდით კიდევ პატარა ოთახი, ქვემოთ დიდი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, აივანი...

პატარა გელა, რომელიც ბაბუას გულზე ჰყავდა მიხუტებული, თავის ფუნჩულა ხელს პროექტს უტყაპუნებდა.

იმ ღამეს გიორგიმ კარის მეზობლებს დაუძახა და პროექტი „მონათლა“.

გიორგი დათუაშვილს ჰიპი რკინიგზაზე აქვს მოჭრილი. მამამისიც სადგურ ნავთლუღში მუშაობდა, პატარა იყო, არსენალში რომ მიიყვანეს, წიგნის მაგიერ ხელში ქლიბი და ჩაქუჩი მისცეს, მარჯვემ და გონიერმა მალე რკინას გული და სული გაუგო, ხელობა შეისწავლა. შემდეგ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში გადავიდა ზეინკლად, ოცდაექვსი წელიწადია ის ამ ქარხანაში მუშაობს და არც ერთი საყვედური არ მიუღია, სულ მადლობა, ქება, ჯილდო...



შარშან აპრილის მზიან დილას ღრმაღელეში ახალ მოსახლეთა უბანი მანქანების გუგუნმა გაალვიძა. მოჰქონდათ ქვა, ქვიშა, აგური და გიორგის ეზოში ყრიდნენ. მალე დაახვავეს საამშენებლო მასალები, შემდეგ მსუბუქი მანქანაც მოგრიალდა. გიორგის ნადი მოუვიდა. ქარხნის კომერციული დირექტორი გიორგი ბაქრაძე, მუშები ვალიკო ბურჭულაძე, აბიბო სოხაძე, ილია ჭუმბურიძე, მამია ჩხენკელი, სერგო შუბლაძე და რომელი ერთი ჩამოვთვალო!

სახლის ოსტატმა მომაღლო ადგილას ლარი გააბა. პირველი ბარი ყველაზე ბედნიერმა და ყველაზე უცოდველმა კაცმა დაჰკრა, ეს იყო პატარა გელა. მას ბაბუამ ბარის ტარი მისცა ხელში, მაგრად დაჰკარიო, უთხრა. ტარი ცივი იყო, ბიჭუნამ ხელი წაავლო თუ არა, შეკრთა, ხელიდან გააგდო, ეს დაკვრად ჩაუთვალეს. შემდეგ დატრიალდა ბარები და წერაქვები...

შუადღემდე საძირკველი გასჭრეს, სიგრძე თერთმეტი და სიგანე ათი მეტრი.

ოლიამ ორი ქვაბი კერძი მოიტანა, ნოდარმა ერთი თონე პური, ღვინო და ხილი. სუფრა ხმელ ბალახზე გაშალეს, პურმარილს ფეხმორთხმით შემოუსხდნენ.

სახლის ოსტატი მხიარული კაცი გამოდგა; ფუძე დალოცა.

სიმღერამ სუფრას შნო მისცა, ღრმაღელეს მოეფინა მჭექარე ხმები.

დათუაშვილს ღვინო მოეკიდა, ბანცალით წამოდგა და თავისი საყვარელი „ბერიკაცი“ წამოიწყო. ყველანი აყვნენ, გული გაიხურეს. დათუაშვილი ღვინოზე უფრო სიხარულმა დაათრო. მის მამას, არც ბაბუას საკუთარი სახლი არ ჰქონიათ, ნაქირავებ ოთახში ჩაბერდნენ.

სადილი და სიმღერა დამთავრდა. ქვიშასა და ცემენტს რომ დაესივნენ, ერთ წუთს ფაფასავით გახადეს. ახლა ქვებს დაწვდნენ, მაგრამ ოსტატმა შეაჩერა:

— ბიჭებო, ასე არ ივარგებს, აბა, ჯიბეები მოიჩხრიკეთ!

საძირკველში ჯერ თვითონ ჩააგდო ვერცხლი, მერე გიორგი ბაქრაძემ და პატარა გელამ. მათ სხვებიც აყვნენ. გაუხარდა ოსტატს. „ხვავი და ბედნიერება ამ ოჯახს, ხვავი და ბედნიერებაო“, იძახდა. ფულს ქვები და ბათქაში მიაყოლეს, მგელივით ბიჭებს რა საქმე გაუძლებდა. საღამომდე საძირკველი მიწის ზედაპირს გაუსწორდა.

მყარ საძირკველზე ოცდაათი ათასი აგური სამ თვეში ერთიმეორეზე დაეწყო, სახურავი, კარები, ფანჯრები!

გიორგი დათუაშვილს ყველამ გაუწოდა ხელი. პარტიამ, მთავრობამ, მეგობრებმა. ასევე ეხმარებიან დათუაშვილის ამხანაგებს. ქარხნის სამოცდახუთი მუშა საკუთარ სახლებს მალე მოხსნის ხარაჩოებს!

ვერ მოასწრო დათუაშვილმა მუმბარაქის მოწყობა, რადგან უნგრეთში მიმავალ პროფკავშირულ დელეგაციაში გაიწვიეს. ეს იყო შარშან ივლისის ბოლოს. თითქმის თვენახევარს დაჰყო უნგრეთში, რა არ ნახა იქ. ქარხნებსა და სოფლებში ბევრი რამ მისთვის საინტერესო იყო, გაეცნო და დაუმეგობრდა მუშებს, დაისვენა ბალატონის ტბის პირას სანატორიუმში. დადგა 28 აგვისტო, მისი დაბადების დღე. ეს რომ უნგრელმა მეგობრებმა გაიგეს, დუნაის პირას ბუდაპეშტის მშვენიერ რესტორანში სამოცმა კაცმა მოიყარა თავი. გაიმართა ქეიფი, სადღეგრძელოები.

— მაგრამ ჩემი დაბადების დღე — მითხრა დათუაშვილმა, — უნგრელებმა თავიანთებურად აღნიშნეს, სუფრაზე ბლომად იყო ღვინო, შოკოლადი, ხილი და კამფეტი! მწვადები, კერძები, და პური მათ ასეთ სუფრაზე არ სცოდნიათ! პირველად კი გამიჭირდა ღვინოსთან კამფეტის შეტანება, მაგრამ მერე შევხურდი და დილამდე კარგი დრო გავატარე! ამას კი არასოდეს არ ვიფიქრებდი, რომ ორმოცდარვა წელი საზღვარგარეთ შემისრულდებოდა!

ქარხანაში გიორგი დათუაშვილთან რომ მივედი, შესვენება იყო, ის ამხანაგებში იჯდა, ხელში სურათები და უბის წიგნაკი ეჭირა, უნგრეთში ნანახსა და გაგონილზე გატაცებით ლაპარაკობდა.

მუშაობის დამთავრების შემდეგ კი მას ღრმაღელისაკენ გავყევი.

— აი, ჩემი სახლი! — მითხრა გიორგიმ, როცა ტრამვაიდან ჩამოვედით და თითი გაიშვირა აგურის ორსართულიანი შენობისაკენ. შორიდან კარგი მეჩვენა მისი სახლი, ახლოს რომ მივედი, უფრო უკეთესი აღმოჩნდა. ფართო მზიანი ოთახები, მაღალი ჭერი, მოკრიალებული იატაკი, ეზოში ვაზი, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, მწვანეთ გადაბიბინებული ბოსტანი.

გიორგი დათუაშვილმა ერთ წელიწადში სახლიც ააგო, ბაღი და ბოსტანიც გაიშენა. ფულს კი დიდხანს აგროვებდა, როგორც იტყვიან კაპიკს კაპიკზე ადებდა, შემნახველ სალაროში ათასებს თავი რომ მოუყარა, მერე საშვილიშვილო საქმე მალე დააგვირგვინა.

— ბედნიერება მის სახლს!



რევაზ მარგიანი

# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემო ბავშვობავ, საწყალო სახლო

შენ ნახე ჩემი მულახის კალთა,
შენ ნახე ჩემი პატარა სახლი,
არც მასპინძელი შემოგხვდა
კართან,
არც ღრუბლისფერი ბომბორა
ძაღლი.

შენ დადუმებულ ეზოში შეხველ
და დატრიალდი ვით მასპინძელი,
ო, ვიცი, ვიცი, როგორც მე
ერთხელ
გამოუცნობი სევდა იგრძენი.

ესეც იცოდე, ჩემეულ კერას
ტკბილი მოკეთე ჰყავდა მრავალი,
ეზოში, როგორც მოკლული ძერა,
ფრთამოტეხილი ეგდო ყავარი.

მარჯვნივ ხომ ისევ სათიბი ჩანდა
და ჭრელზე-ჭრელი ყვავილთა
ფარჩა,
თმააქოჩრილი პატარა პანტა,
ოჩოფეხებზე ძლივს იდგა ლალჩა,
ლალჩა — ცალფეხზე შემდგარი
ყანჩა!

ალბათ, ნაზობდა ძველი იფანი
და შორი ახლოს იდგა საყდარი,
იქნებ ჩემი ხნის ვაშლი იცანი,
ჩემებრ მორცხვი და განზე
გამდგარი.

იმ სახლს მრავალი სტუმარი
ჰყავდა,
მოკეთეც ჰყავდა ვარსკვლავზე
ბევრი,
ვარსკვლავებივით ბრწყინავდა
კართან
მთვარისოდენა კალოზე კევრი...

ახლაც ისევ დგას გაფითრებული
ქვეყნიერებას დასცქერის მაღლით,
გადმოსაფრენად შემზადებული
და ჩემგან ობლად მიტოვებული
ჩემი პატარა, საწყალი სახლი.

## [illegible]

შებოლილა ჭუნირი,
გასანთლულა ქამანი.
მკლავს სიმღერის წყურვილი
და ოცნება ფრთამალი.

მხიბლავს ცის დასავალი.
ლურჯი ცის ფარჩეული,
საპატარძლოს თავშალი,
კლდეზე გადახეული.
ბინდი კარზე მომდგარი,
შავი, როგორც ხონთქარი!

ძროხის შემობღავლება,
დატენილი ჯიქნები;
გადავიქეც თვალებად
მე და ჩემი ფიქრები.

მე კი არ მეძინება,
ანდა რა დამაძინებს?
მთვარეს გაეღიმება,
რომ შეგვხედავს ყმაწვილებს.

იფნის ტოტზე ქანაობს,
თავს დაგვცქერის ციმციმით,
— ნანა, იავ-ნანაო, —
წყაროს წასკდა სიცილი.

სკასაც დაუძინია,
მე კი ვდგევარ კართანა,
— არა, არ მეშინია, —
კისერს იტეხს კარდალა...

შებოლილა ჭუნირი,
გასანთლულა ქამანი,
დამებადა სურვილი,
ჩიტი ვიყო ფრთამალი.

მაღლა, მაღლა ლივლივით,
ავიჭროლო ქარსავით,
ციდან ოქროს ღილივით
ჩამოვწყვიტო ვარსკვლავი...

პაპაჩემის არ იყოს,
მთვარე მიცქერს ციმციმით;
ალბათ, ფიქრი გამიგო,
წყაროს წასკდა სიცილი.

ეჰ, ბავშვობა... სიზმარი...
ჩიტის ფრთებით ნაფრენი,
მუდამ დაუვიწყარი
გაფრენილი აფრები.

დამჩრა მოსაგონებლად,
მთვარეც მხიბლავს ციმციმით,
გულის მოსაოხებლად
წყაროც ისევ იცინის...

## [illegible]

მიყვარდი. ცეცხლი ეკიდა კალამს,
ვიწოდი, როგორც ხმელი წიფელი.
და როცა ქარში გაშლიდი დალალს,
კეხურასავით ვიყავ წითელი.

მე არ ვიცოდი, რა იყო დაღლა,
შიში არ მქონდა თოვლის და ქარის,
ის სიყვარული
შემომრჩა დამლად,
სულით მდიდარს და ისე კი
ღარიბს.
მას ისევ ლვიძავს.

ჯერ არ ჩამქრალა,
ლველფივით ცდილობს თვალის
გახელას.
შენი ოდნავი სუნთქვაც კი კმარა
იმ სიყვარულის
გასაჩაღებლად.

## შენ ჩემო გუდა-ნაბადო

დიდი გზა გამოვიარეთ
მე და შენ გუდა-ნაბადო,
ერთ დღეში ჩავიგრიალეთ
ამწვანებული ყაბარდო.

ჩეგემის წყალი დავლიე,
ნალჩიკთან გავხსენ საგზალი
და უცბად, ცის დასალიერს
მთა გაჩნდა უზარმაზარი.

მთა გაჩნდა, თეთრი, სასტიკი
ნახატი მზით და მწვანეთი,
საქართველოა მთის იქით
ჩემი პატარა სვანეთი...

დიდი გზა გამოვიარეთ
შენ, ჩემო გუდა-ნაბადო,
სიმღერით ჩავიგრიალეთ
ამწვანებული ყაბარდო.

## მესტიიდან - ოდიშამდე

ალექსანდრე საჯაიას ხსოვნას

მესტიიდან ოდიშამდე
მე მომქონდა შენი კუბო
და კუბოში ჩალურსმული
სიჭაბუკის ბევრი ბწკარი...

რა არ ვცადე,
რა არ ვცადე,
არ მინდოდი დასაღუპად
შენი სული, შენი სული,
მაგრამ ვეღარ მოგისწარი.

მესტიიდან ოდიშამდე
გრძელი არი გზა და შარა,
დაკლაკნილი, დახლართული
დალის თვალით დანახული.
დავიდარდე,
დავიდარდე,
ქარმა ცრემლი შემიშრალა
და კუბოში დამწყვდეული
თან მიმქონდა გაზაფხული.

მესტიიდან ოდიშამდე
მწვანე ფიქრმა გამახევა,
შემოდგომა ყვითელ ფოთლებს
დარდიანად ჰფენდა გზაზე.

დარდი ვერვის ვერ გავანდე
და მას შემდეგ, როგორც ელდა,
მოგონება შემაშფოთებს,
სტრიქონშიც ვერ მოვათავსე.

მესტიიდან ოდიშამდე
მე მიმქონდა შენი კუბო
და კუბოში ჩამწყვდეული
სიჭაბუკის ბევრი ბწკარი...
ვაი, რომ ვერ მოგისწარი...

## [illegible]

შენ დედა ხარ, შენ მამა ხარ,
კლდეა შენი ბალავარი,
ვერასოდეს ვერ დალახვრა
მტერმა შენი გალავანი.

შენს ბეჭებზე, შენს გულმკერდზე
გაუშლიათ ფრთები ბანებს,
მე — მიმინო ხოხობს ვეძებ,
ჩემს სიყვარულს ვუთვალთვალებ.

შენი პურით დამაპურე
და შენმა რძემ გამომკვება,
სიკვდილამდე მიმსახურე,
ვიდრე ხმა არ ჩამიწყდება.

ღრმად, მიწაში გადგმულია
შენი მტკიცე ბალავარი,
მეც პატარა აგური ვარ
შენი ურყევ გალავანის.

## შენი თვალები

სიყვარულს ვერ გავექეცი,
სიყვარულს ვერ ვემალები,
სულ თვალწინ მეხატებიან
შენი ლამაზი თვალები.

შემოვიარე ქვეყანა,
გზა სიყვარულმა დალია,
თმას ვერცხლი შემოეპარა,
შენი თვალების ბრალია.

ნეტავი გამაგებინა,
ჩემს ღიმილს რად ემალები,
ვისთვის ანათებს, ციმციმებს
ეგ დასაწვავი თვალები.

## უშბა და ბუბა

მთებმა მოისხეს ნისლების ჯუბა,
ღრუბელმა შთანთქა ყველა
ყინვარი,
უნისლოდ დარჩა უშბა და ბუბა
წელგამართული და მომღიმარი.

ყველა მწვერვალი ელოდა ავდარს,
შემოხვეოდა ღრუბელი ჯგუფად,
უღრუბლო უშბა ამაყად ჩანდა,
ამაყად იდგა უნისლო ბუბა.

მე ერთი ნატვრის ახდენა მსურდა,
არ მოგხვეოდეს ღრუბელის ჯუბა
და შევცქეროდეთ ერთმანეთს
მუდამ,
როგორც ამ დილით უშბა და ბუბა.





„ჭაბუკიანმა ააცეკვა დედამიწა"
მეგობრული ფოტო-შარჟი.

# 1959



* * *

„ბ უ ე ნ ო ს-ა ი რ ე ს ი, 7 აგვისტო (საკდესი).

ბუენოს-აირესში გაიმართა პირველი გამოსვლა თბილისის ფალიაშვილის სახ. თეატრის მსახიობებისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის მხატვრული ხელმძღვანელობით.

...გამოსვლამ უდიდესი წარმატებით ჩაიარა. ბევრი ნომერი გაამეორებინეს. ყველაზე დიდი წარმატება ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო არტისტს ჭაბუკიანს...."

„ვ ე ნ ა, 19 ნოემბერი (მიღებულია ტელეფონით).

გუშინ საღამოს ვენის ოპერის თეატრში ქართული ბალეტის ოსტატთა ჯგუფმა ვახტანგ ჭაბუკიანის მხატვრული ხელმძღვანელობით გამართა პირველი კონცერტი.

...მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ვახტანგ ჭაბუკიანის, ვერა წიგნაძისა და ზურაბ კიკალეიშვილის შემსრულებლობითმა ოსტატობამ..."

ასე გამოეხმაურა ჩვენი პრესა გასულ წელს ქართული ბალეტის გასტროლებს ლათინურ ამერიკასა და ავსტრიაში.

1959 წელს ვახტანგ ჭაბუკიანი, ალბათ, კიდევ მრავალ ქვეყანას მოივლის ცეკვით და გააცნობს მსოფლიოს საბჭოთა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდ მიღწევებს.

* * *

თბილისის მახლობლად შენდება მძლავრი ატომური რეაქტორი, რომელიც დიდ როლს ითამაშებს საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის ახალი კადრების აღზრდის საქმეში.

ატომური რეაქტორი, რომლის მშენებლობა 1959 წელს დამთავრდება, უმთავრესად მოემსახურება ამიერკავკასიის სამეცნიერო დაწესებულებებს, ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს, მედიცინის მუშაკებს.

ატომური რეაქტორის მშენებლობაში არა მარტო ქართველი, მოძმე ერების შვილებიც იღებენ მონაწილეობას, აქ ნახავთ რუს ელექტროშემდუღებლებს, სომეხ და აზერბაიჯანელ მემონტაჟეებს. ისინი ამაყობენ თავიანთი საქმით; ხუმრობა ხომ არ არის, მოგანდონ ატომური რეაქტორის აშენება. იქნებ ამიტომ იყო, რომ მუშების ერთმა ჯგუფმა მოინდომა სამახსოვრო ფოტოსურათის გადაღება ჯერ კიდევ დაუმთავრებელ რეაქტორთან. გაივლის დრო და ამ სურათს ნახავენ მათი შვილები, შვილიშვილები, ნახავენ და ისინიც იამაყებენ მამებით, რომლებიც მეცნიერების უდიდეს მიღწევებს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის საქმისათვის იყენებენ.

* * *

წელსაც, როგორც ყოველთვის, თბილისელმა ბავშვებმა ბევრი იმხიარულეს და ითამაშეს საახალწლო ნაძვის ხეების გარშემო. სკოლებისა და დაწესებულებათა ეზოებში კი თოვლის ბაბუები პირდაპირ ცოცხალ ნაძვის ხეებთან უხმობდნენ და ართობდნენ პატარებს.

ტყის დაცვის მიზნით, მოსახლეობის მოთხოვნით ჩვენს რესპუბლიკაში აიკრძალა საახალწლო ნაძვის ხეების მოჭრა, ამიტომ საქართველოს სამრეწველო კოოპერაციამ წელს ორი ათასი ხელოვნური ნაძვის ხე დაამზადა მოსახლეობისა და დაწესებულებებისათვის. ხელოვნურ საახალწლო ნაძვისხეთა რაოდენობა 1959 წელს 15 ათასს გადააჭარბებს, მაგრამ ამ მიზნით, რა თქმა უნდა, სხვა ზომებიც უნდა იქნას მიღებული.

ამასთან დაკავშირებით, ჟურნალ „დროშის" კორესპონდენტმა შეკითხვით მიმართა აკადემიკოს ნიკო კეცხოველს.

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ნაძვის ხეთა მოჭრის აკრძალვის შესახებ დროული და მიზანშეწონილია, — თქვა ნიკო კეცხოველმა, — ზამთრობით ტყეში ღრმად ვერ შედიოდნენ, გზის პირებზე ჩეხავდნენ, ეს ანადგურებდა ჩვენი მიწის მწვანე სამოსელს. გამოკაფვა და გამოხშირვა ტყეს უხდება კიდევაც, თუ კი ამას საქმის მცოდნენი გააკეთებენ.

ჩემის აზრით, მიზანშეწონილი იქნება, თუ კი კოლმეურნეობები გამოჰყოფენ სპეციალურ ნაკვეთებს საახალწლო ნაძვისხეთა გასაშენებლად. უნდა გამოიყოს 6-7 ნაკვეთი, თვითეული ერთი ჰექტარი ფართობისა. 1959 წელს გაშენებული ნაკვეთის მოჭრა და მოსახლეობაში გაყიდვა შეიძლება 1966 წელს, 1960 წელს გაშენებულისა — 1967 წელს, და ასე შემდეგ. კოლმეურნეობას ყოველ წელს სახარჯოდ ექნება ერთი ნაკვეთი, გასაშენებელიც — ერთი. არც ერთი კულტურა, ჩაის გარდა, კოლმეურნეობას არ მისცემს იმდენ შემოსავალს, რამდენსაც ამ მიზნით გაშენებული ნაძვის ხეები.



აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი

ეს ამოცანა თავისუფლად შეუძლიათ განახორციელონ ცემისა და კეჩხობის კოლმეურნეებმა, თბილისის მახლობლად კი — მანგლისისა და ორხევისამ. ძველ რომში საახალწლოდ ოთახებს ზეთისხილისა და დაფნის ფოთლებით რთავდნენ. მერე ეს ჩვეულება ჩრდილოეთის ქვეყნებში გადმოვიდა, მაგრამ იქ, ზეთისხილისა და დაფნის უქონლობის გამო, საცხოვრებელი ბინები ნაძვის ხის ტოტებით მორთეს. ქართული ჩიჩილაკებიც, ალბათ, იმის შედეგია, რომ ძველად ჩვენი მიწა, უმთავრესად, შერეული ჯიშის ტყეებით იყო დაფარული. — ნიკო კეცხოველს უეცრად გაეღიმა და დაუმატა: — პირადად მე, ჩემს შვილიშვილს წელს ჩიჩილაკი გავუკეთე!

ჩიჩილაკი, ხელოვნური ნაძვის ხეები, სპეციალურად გამოყოფილი ნაკვეთები ნაძვის ხეების გასაშენებლად, აი, ის ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენი ტყეების გაზრდას, მწვანე სამოსელის ტერიტორიის გაფართოებას.

* * *

თბილისის ქუჩებში მსახიობი ციცინო ციციშვილი ხშირად ხვდება ხოლმე „სხვის შვილებს" — ნანი ჩიქვინიძესა და მიხო ბორაშვილს. ბავშვები ჯერაც ვერ გადაჩვეულან და ციცინოს „დეიდა ნატოს"ეძახიან, როგორც კინოფილმში მიმართავდნენ მას.

ციცინო ციციშვილიც და მისი პატარა კოლეგებიც არაპროფესიონალი მსახიობები არიან. ციცინოსათვის 1959 წელი სტუდენტობის უკანასკნელი წელია, იგი მალე აიღებს ქიმიკოსის დიპლომს, მოსწავლეები ნანა ჩიქვინიძე და მიხო ბორაშვილი შემდეგ კლასში გადავლენ. მაგრამ 1959 წელს შეიძლება კიდევ ერთი ამბავიც მოხდეს: იქნებ ეს სამი მსახიობი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ეკრანზე, იქნებ „სხვისი შვილები", „ნამდვილ შვილებად" იქცნენ, ანდა „დეიდა ნატო", „ნატო მასწავლებლად" მოინათლოს. ვნახოთ, ეს კინო-სცენარისტებსა და რეჟისორებზეა დამოკიდებული.

* * *

გეოფიზიკურ წელთან დაკავშირებით, თბილისის კოსმიური სხივების ლაბორატორიის მონაცემებით სარგებლობენ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მეცნიერული დაწესებულებანი. აქ მიღებული შედეგები ქვეყნდება მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში. აღსანიშნავია, რომ თანამშრომელთა უმეტესობა ახალგაზრდა მეცნიერმუშაკები არიან. ლაბორატორიას თანდათან ემატება ახალ-ახალი მოწყობილობანი, 1959 წლის ბოლოს აქ მთელი ძალით გაიშლება მუშაობა.

* * *

მიტო გორდელაძე პატარა მხატვარია, მაგრამ იმდენად პატარაა, ჯერ არც კი იცის, რომ მხატვარია. მიტოს „თემატიკა" წელიწადის დროების მიხედვით იცვლება. გაზაფხულზე იგი ხატავს ყვავილებს, მზესა და წვიმას. ზაფხულში — მობურთავე ბიჭუნებს, მატარებელს, რომლითაც მიემგზავრება ხოლმე აგარაკად, და „ჭიდაობას", რომელიც ბევრჯერ უნახავს სოფელში. შემოდგომაზე — ხეებს, ფოთლებსა და რთველს. ზამთრობით კი — „გუნდაობას", „ციგაობას", და მოთხილამურეებს. ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც მიტოს დახატული „ზამთრის სურათებია" ალბეჭდილი. მიტომ ეს არ იცის, მის უნებართვოდ დავბეჭდეთ. როცა გაიზრდება, ალბათ, მამა, მხატვარი გოგი გორდელაძე, მხოლოდ მაშინ აჩვენებს ამ ჟურნალს თავის შვილს. შეიძლება მიტომ ვერც ის გაიგოს, რომ წელს მის ნახატებს მოსკოვსა და ინდოეთში გააგზავნიან ბავშვთა ნახატების კონკურსზე. მაგრამ თუ ამ კონკურსზე პრემია დაიმსახურა, მაშინ იმდენად გაეხარდებათ ოჯახში, რომ პატარა მიტო, ალბათ, ყველაფერს მიხვდება.



ც. ციციშვილი თავის ნორჩ კოლეგებთან.



უმცროსი მეცნიერ-მუშაკი გ. ალანია დაკვირვებას ახდენს ნეიტრონულ მონიტორზე.

პატარა მხატვარი მიტო გორდელაძე.











ეროვნული ბიბლიოთეკა

..ქ. ..ს. კ. მარქსის ...სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# „ვაჟკაცები"

ხოაკინ დისენტა

მხატვარი ზ. ლეჟავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ძველად, სულ ძველად, როცა მე პატარა ბიჭი ვიყავი, მადრიდის ქუჩებში შეხვდებოდით გრძელკალთებიან, შავ მოსასხამსა და ცილინდრში გამოწყობილ უცნაურ კაბალეროს. ოცდაათი წლის მაღალი გამხდარი კაცი, არწივისებური ცხვირითა და ზემოთ აგრეხილი ულვაშებით დონ-კიხოტს მოგვაგონებდათ, თავისი სამგლოვიარო სამოსელით კი — ქვრივს. ის მართლაც ქვრივი იყო—ბედნიერებისა და სიხარულის ქვრივი, უბედო სიყვარულის მსხვერპლი, რომელმაც უარი თქვა მშობლების ნაანდერძევ დიდ მემკვიდრეობაზე. სასოწარკვეთის წუთებში, რომელიც მას ხშირად ეწვეოდა ხოლმე მარტოობისა და უკიდურესი სიღარიბის გამო, ჩვენი კაბალერო მზად იყო ყოველგვარი სისულელისა და თავგანწირული ნაბიჯის გადასადგმელად.

იგი არაგონში დაიბადა — სიყვარულის ქვეყანაში. იმ დროისათვის, რომელსაც ჩემი მოთხრობა ეკუთვნის, კაბალეროზე ღარიბი, ალბათ, არავინ მოიძებნებოდა მთელს ესპანეთში. ცხოვრობდა მადრიდში, საელჩო ქუჩის ბოლოს, მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან ერთად, რომელსაც უგონოდ უყვარდა ეს მგლოვიარე დონ-კიხოტი.

ერთ საღამოს, ჩვენი მოთხრობის გმირი—დავარქვათ მას დიეგო, თეატრიდან გამოვიდა თავის შეყვარებულთან ერთად. ქალი ერთი უბრალოთაგანი იყო, მაგრამ უყვარდა კოხტად ჩაცმა-დახურვა.

სახლის კარებთან, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ქალი უეცრად მოუბრუნდა დიეგოს:

— ეშმაკმა დალახვროს! სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ მშიერი ვარ, შინ კი, ჯიბრზე, არაფერი გვაქვს.

— მერე რა! — უპასუხა დიეგომ, — რადგან გშია, უვახშმოდ არ დარჩები. ცოტა ხურდა კიდევ მიყრია ჯიბეში, სარანკოს ტავერნა ღიაა, ერბო-კვერცხს ყველგან მოგვიმზადებენ. წავიდეთ.

— ბარანკოს ტავერნაში? — შეშფოთებით ჰკითხა ქალმა, — ამ შლიაპით, შენ კი შენი ცილინდრით? იქ ხომ ყველა ვერ ბედავს შესვლას!

— რატომ?

— იქ ისეთი ხალხი იკრიბება, რომ...

— მაინც როგორი?

— ქურდები, ბანდიტები, ყველა ნაძირალა.

— სისულელეა! არაფერიც არ მოხდება. ხმას არავის გავცემთ და ჩვენც ხელს არ გვახლებენ.

— მაგრამ...

— მე ვთქვი, წავიდეთ-მეთქი, არაფერი მოგვივა.

ქალმა კარგად იცოდა; დიეგო თუ რამეს დაიჟინებდა, მორჩა, მერე ველარ გადაათქმევინებდი. ამიტომ გაჩუმდა და მორჩილად გაჰყვა.

ვიწრო, ნახევრადჩაბნელებული დარბაზი, შემურული დაბალი ჭერითა და ბინძური კედლებით. შესასვლელის პირდაპირ დახლია, უხეშად გათლილი ფიჭვის რამდენიმე მაგიდა და სკამი. ასე გამოიყურებოდა ტავერნა, რომელსაც დიეგო და მისი შეყვარებული ესტუმრნენ.

დახლს გადაღმა იდგა ფართობეჭებიანი ჭმუხი მეტრაქტირე, რომელსაც მწვანე შავზოლებიანი წინსაფარი და სახელოებაკეცილი ხალათი ეცვა. შუა დარბაზში მაგიდას შემოსხდომოდნენ მამაკაცები, მათ შორის ყველაზე სასიამოვნო შესახედაობის მქონე, არაფერს კარგს არ გპირდებოდა.

ნუ ჩავთვლით საჭიროდ იმ მისალმებათა და ხუმრობათა განმეორებას, რომლითაც ტავერნის მუდმივი სტუმრები შეხვდნენ შლიაპოსან სინიორიტასა და ცილინდროსან სინიორს, როცა მათ კარები შემოაღეს. თვით მეტრაქტირემაც კი ვერ დამალა თავისი გაოცება.

— მოგვიტანეთ ერბო-კვერცხი ლორით, და ერთი ბოთლი ღვინო! — უთხრა დიეგომ ტავერნის პატრონს და თანამგზავრ ქალთან ერთად იმ მაგიდის პირდაპირ დაჯდა, რომელიც პატივსაცემ კომპანიას ეკავა.

მეტრაქტირე სამზარეულოში შეძვრა. მუდმივი სტუმარნი სახელოვანი დაწესებულებისა კი გამოცოცხლდნენ, აჩურჩულდნენ და როცა პატრონმა ვახშამი გამოიტანა, უკვე ხმამაღლა დაიწყეს ახალმოსულთა დაცინვა.

—მისმინე, — თქვა ერთ-ერთმა მათგანმა და მეზობელს სახელოში დაქაჩა, — რატომ არ უნდა უყიდო შენს ლამაზ ისიდორას აი ისეთი შლიაპა?

— ჰმ, მაშინ ხომ სინიორა იძულებული იქნება მოყიდოს ისეთივე მილი, როგორც აი იმ სინიორს ადევს თავზე! — უპასუხა ამხანაგმა.

დიეგოს თანამგზავრი ქალი ეკლებზე იჯდა.

— წავიდეთ აქედან, — ჩურჩულებდა იგი.

— ჭამე და ჩუმად იყავი! — პასუხობდა დიეგო.

მიხვდნენ რა, რომ მათი ენამახვილობა მიზანს ვერ აღწევდა, შფოთის მაძიებელნი სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ და პურის ქერქების სროლა დაიწყეს იმ მაგიდისკენ, სადაც „ბატონი და ქალბატონი" იჯდა.

— შენ მართალი იყავი, — ჩუმად უთხრა დიეგომ თავის მეგობარ ქალს, — ამ ტიპებს ჩხუბის ატეხვა უნდათ. მე ახლა ფულს გადავიხდი და წავიდეთ. არ ღირს მაგათთან საქმის დაჭერა.

მაგრამ დიეგომ ვერც კი მოასწრო ჯიბეში ხელის ჩაყოფა, რომ პურის მოზრდილი ნატეხი პირდაპირ თავში მოხვდა მის შეყვარებულს.

დიეგო გაფითრდა, ხელით ანიშნა ქალს, იჯექიო, და იმ მაგიდისკენ გაემართა, რომელსაც შფოთისთავები უსხდნენ.

— რომელია თქვენს შორის ყველაზე ვაჟკაცი? — იკითხა დიეგომ და მოწინააღმდეგეთ თვალი თვალში გაუყარა.

— ხა, ხა, ხა, თქვენთვის — რომელიც გნებავთ. — უპასუხა ერთმა მათგანმა.

— ცდებით, — თქვა დიეგომ, — მე მაინტერესებს ყველაზე ვაჟკაცი.

— მე კი გიმეორებთ, რომ თქვენთვის ყველა ჩვენთაგანი ვაჟკაცია, — უპასუხა მას მეორემ, — აი, თუნდაც მე. პური ხომ მე ვისროლე...

— თქვენ?

— მე.

დიეგომ მარცხენა ხელი მაგიდაზე გაშალა, მარჯვენათი დაშნა იძრო, მოიქნია და ხელი მაგიდაზე მიილურსმა. მერე ისევ მარჯვენა ჩაიყო ჯიბეში, მოკლე დანა ამოიღო, კბილებით გახსნა და სახეში შეჰყვირა მოწინააღმდეგეს:

— აი, როგორ იბრძვიან ნამდვილი ვაჟკაცები. მოდით, მობრძანდით!

სანამ „ვაჟკაცები", ტავერნის მუდმივი სტუმრები, ძაღლის ხრინწიანი ყეფისაგან დამფრთხალი მგლებივით ჩქარობდნენ კარებში გასხლტომას, დიეგომ ხელიდან დაშნა ამოიძრო, თავის შეყვარებულს მიუახლოვდა, რომელიც შიშით იყურებოდა მისკენ, და მშვიდად უთხრა:

— მე ხომ გეუბნებოდი, არაფერი მოხდება-მეთქი.

თარგმნა ედ. ყიფიანმა



ერიჰ ვაინერტი

## შენ რომ არა, საბჭოეთო

შენ რომ არა, საბჭოეთო
მოამაგევ ხალხის,
მთელ მსოფლიოს დაბინდავდა
ომის ნისლი თალხი.
შენ რომ არა, მშვიდობის და
მეგობრობის მხარევ,
საზღვარი არ ექნებოდა
ქვეყნად სისხლის ღვარებს.
შენ რომ არა, ჩვენს პლანეტას,
ამ ძველისძველ მიწას,
ყაჩაღები ცეცხლის ალში
გაახვევდნენ იმწამს.
დიადია შენი ძალა,
ურყევი და მტკიცე,
შენ მტარვალებს ხალხთა ჟლეტის
უფლებას არ მისცემ.
შენ მშვიდობის მედროშე ხარ,
მაგრამ ბრძოლაც იცი,
უძლეველი სიმაგრე ხარ
ამ ცისა და მიწის.
შენ ხარ ხალხთა მტკიცე რწმენა,
სურვილი და ნება,
შენი შუქის ელვარებით
ცაზე ნისლი ქრება.
აგუგუნებ გამარჯვების
ძლევამოსილ ჰანგებს,
სანეტარო კომუნიზმის
ხარაჩოებს აგებ.
ვერ ჩაგვახშონ მონობაში
შიმშილით და ცრემლით,
რადგან ხალხებს გზას უნათებს
ვარსკვლავები კრემლის.

თარგმანი გერმანულიდან

ზ. ა—ხა

ლადო სულაბერიძე

## თანამგზავრები

არ შეგხვედრია სადმე ეს ქალი,
ეს კაციც არსად არ შეგხვედრია,
ჯერ არ გინახავს ასეთი ხალი,
თუმც შენთვის ახლა ეგ სულერთია.

მოხველ, შეგხედეს ისეთი თვალით,
თითქოს ეამათ აქ შენი ნახვა.
და შენთან მგზავრობს ახლა ეს ქალი,
და შენთან მგზავრობს ეს კაცი ახლა.

მატარებელი რუხრუხით მიჰქრის,
და სადგურები განზე რჩებიან,
არ იცი, რაა ამ ქალის ფიქრი,
ეს კაცი მთებს რად მისჩერებია.

ნაშუაღამევს ჩავიდა კაცი,
გამოგეთხოვა ის ქალი დილით...
და ერთ პატარა გვირაბს რომ გასცდი,
ბაქანზე შეგხვდა ცოლი და შვილი.

მატარებელი კვლავ წინ გაქანდა,
წაიღო სხვათა მგზავრთა ცხოვრება...
მშობელ სადგურის იდექ ბაქანთან
და გაფიქრებდა ეს განშორება.

ბევრი ნაცნობი გყავს ქვეყანაზე,
მათთან ცხოვრებით შებერდები და
მატარებლებშიც გათბები ასეთ
მოულოდნელი შეხვედრებითა.

დაგემგზავრება კაცი ან ქალი,
მერე ველარსად შეხვდები ვერც ერთს...
და მუდამ გახსოვს იმ ქალის ხალი,
და მუდამ ფიქრობ იმ კაცის ბედზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ჰუმორი

— აი, საცაა ერთი წელი გახდება, რაც ჩვენ დავქორწინდით და ჯერ ერთხელაც არ წავჩხუბებულვართ. რა თქმა უნდა, ხანდახან უთანხმოება მოგვდის, მაგრამ როცა მე მართალი ვარ, ფელიქსი ყოველთვის მითმობს ხოლმე.

— და როცა ისაა მართალი?

— ეს არასოდეს არ ხდება.

* * *

— მომილოცეთ, მე ბავშვი შემეძინა.

— ბიჭუნა?

— არა.

— მაშ გოგონა?

— როგორ გამოიცანით?

* * *

— ჰანს, როგორ უნდა გაუყო თანაბრად ოთხი ცალი კარტოფილი ხუთ ბავშვს?

— მათგან უნდა პიურე მოამზადოთ!

* * *

— ალფრედ, ასანთი იყიდე?

— კი, მამილო!

— კარგი ხარისხისაა?

— ერთი ღერიც კი არ გამოდგა ცუდი. მე ყველა გულდასმით გავსინჯე.

* * *

— ერთი მითხარით, გეთაყვა: კარგია თუ ცუდი, როცა გზაზე შავი კატა გადაგირბენთ?

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინა ხართ თქვენ: კაცი თუ თაგვი!

* * *

— რა გატირებს, შვილიკო, ჩვენ ხომ შენი დაბადების დღის საზეიმოდ შევიკრიბენით?

— სწორედ მაგისთვის ვტირი, მამი, უკვე შუაღამე გადავიდა და თქვენ კი ისევ ხმაურობთ და არ მაძინებთ.

* * *

— გამიგონე, ჩემო კარგო, უკვე სამი საათია, ველოდები მატარებელს! — ნერვიულად მიმართავს მგზავრი სადგურის უფროსს.

სადგურის უფროსი მშვიდად მიუგებს:

— მეც შენს დღეში ვარ, მაგრამ ხომ ხედავ, არავისთან არ ვჩივი!

* * *

ერთი ინგლისელი პროფესორი სტუმრად იყო მეგობრისას და კარგადაც შეაგვიანდა მასთან. ამასობაში ჰექაქუხილი ატყდა და კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა.

— აბა, ამისთანა ამინდში როგორ წახვალთ შინ, ბარემ დარჩით და აქ გაათიეთ ღამე, — მიმართა სტუმარს მასპინძელმა.

პროფესორი დათანხმდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მასპინძელმა მოინდომა პროფესორის მონახულება, მაგრამ სახტად დარჩა, როცა მისთვის მიჩენილ ოთახში იგი არ აღმოჩნდა. ერთი საათის შემდეგ გაისმა ზარის წკარუნი. მსახურმა კარი გააღო და სახლში შემოვიდა თავიდან ფეხებამდე გაწუწული პროფესორი.

— სად ბრძანდებოდით ამ თავსხმაში? — ჰკითხა გაკვირვებულმა მასპინძელმა.

— შინ გახლდით პიჟამოს მოსატანად. უმისოდ ძილს არ ვარ ჩვეული, — მშვიდად მიუგო პროფესორმა.

* * *

— ბრალდებულო! კიდევ რისი დამატება შეგიძლიათ თავის გასამართლებლად?

— ათასი დოლარისა, ბატონო მოსამართლევ! მეტს ვერც ერთ ცენტს ვერ დავუმატებ!

* * *

ქალი (მხატვარს): და თქვენ მარწმუნებთ, რომ პორტრეტი მართლაც ლამაზი იქნება?

მხატვარი: მაგაში შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენ ვერც კი იცნობთ საკუთარ თავს!

* * *

ჰაინრიხ ჰაინესთან საუბრისას მისმა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ქალმა ასე მიმართა:

— მე მსურს თქვენ მოგიძღვნათ ჩემი აზრები, სული და გული.

— სიამოვნებით ვღებულობ მაგ ძღვენს, — ღიმილით მიუგო პოეტმა, — ასეთ მცირე საჩუქარზე უარის თქმა მეუხერხულება.

* * *

ერთი მხატვარი მნახველებს თავის ნაწარმოებს აჩვენებდა: — ქალბატონებო და ბატონებო, ამ სურათზე გამოხატულია ძროხა, რომელიც მინდვრად ბალახს სძოვს.

— კი, მაგრამ ბალახი სადღაა? — შეეკითხნენ მას.

— იგი ძროხამ უკვე მოსძოვა.

— ძროხა რაღა იქნა?

— იგი წავიდა, აბა რატომ უნდა დარჩენილიყო იგი ამ მინდორზე თუ კი ბალახი უკვე მოსძოვა?

* * *

— რაა უცოლო კაცი!

— ეს ისეთი კაცია, რომელიც მანამ არ შეირთავს ცოლს, სანამ კარგად არ ჩაუფიქრდება ამ ნაბიჯს და რაკი კარგად დაუფიქრდება, რა თქმა უნდა, არ შეირთავს.

* * *

— ეი, ბიჭო, ეს რა უშველებელი წაღები ჩაგიცვამს?

— რა ვქნა, ძალიან მეჩქარება, ბებიასთან მინდა წასვლა, მე ჩქარა ვერ დავდივარ, მამაჩემი კი ძალიან ჩქარა დადის, როცა ეს წაღები აცვია.

# ნ ა რ ე ვ ი

ყველამ როდი იცის, რომ ღვინის სმა და ლოთობა ადამიანების გარდა შეუძლიათ ცხოველებს: ძაღლებს, ღორებს, ჩიტებს და მწერებსაც კი.

ალკოჰოლის ძალა ცხოველებზე ისევე მოქმედებს, როგორც ადამიანებზე, ხშირად აკარგვინებს მათ თავიანთ „მოქმედებაზე პასუხისმგებლობის გრძნობას".

ვის შეუძლია იფიქროს, რომ თუ შრომისმოყვარე ფუტკრები მიეჩვივნენ ალკოჰოლს, ივიწყებენ თავიანთ მოვალეობას: მიფრინავენ „სასმელად" და გვერდს უვლიან ყვავილებს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ნასვამ ღორებს უყნოსიათ სპირტის სუნი და გამოუმტვრევიათ ღვინისჩამომსხმელი ქარხნის კარები.

ცხოველთა შორის ლოთობის შემთხვევებს მრავალი წლების განმავლობაში სწავლობდა ამერიკელი ექიმი მ. პრუიტი. მას აღრიცხვაზე ყავდა აყვანილი ძაღლები, რომლებიც დუქნიდან დუქანში დარბოდნენ ერთი ყლუპი ვისკის საშოვნელად. რამდენადაც ცხოველებს ნაკლები „შანსები" აქვთ ალკოჰოლის შოვნისა, პრუიტი ხანდახან თვითონ უმასპინძლდებოდა გამოსაცდელ ცხოველებს, რათა მოეხდინა მათზე დაკვირვება.

ამგვარი ექსპერიმენტის წყალობით ერთხელ კინაღამ დაისაჯა ექიმი. ძაღლმა, რომელიც თავდავიწყებით ეტანებოდა ღვინოს, ვეღარ მოითმინა „მორიგი სასმისის მიღებამდე" და მივარდა ექიმს. დამსწრეებმა ძლივს გადაარჩინეს მკვლევარი.

* * *

საინტერესოა, რომ ერთი კილოგრამი თაფლის დასამზადებლად ფუტკარმა უნდა იფრინოს დაახლოებით სამასი ათასი კილომეტრი და ესტუმროს ცხრამეტ მილიონ ყვავილს.

* * *

თურმე კორსიკა წარმოადგენს „მოხეტიალე" კუნძულს. ჩატარებულმა დაკვირვებებმა დაამტკიცეს რომ იგი ოთხმოცი წლის განმავლობაში ათითორმეტი მეტრით გადაადგილებულა აღმოსავლეთისაკენ.

# გველების კუნძული

თევზების ძებნით დაღლილი ზღვის ფრინველების გუნდი დაბლა ფრენით თავს დასტრიალებდა კუნძულს. ბოლოს ერთი მათგანი დაეშვა ხის ტოტზე, მაგრამ მაშინვე გაისმა მისი წივილი. საბრალო ფრინველი ამაოდ ცდილობდა აფრენას.

მოხდა უცნაური ამბავი. ერთი „ტოტთაგანი" უფრო და უფრო მჭიდროდ ეხვეოდა უმწეო ფრინველს.

გველი! მონაცრისფრო-მოთეთრო, ზუსტად იმ საპნის ხის ქერქის ფერისა, რომელიც მან აირჩია მახის დასაგებად.

დაჭერილი ფრინველის ხმამ თითქოს გაადვიძა კუნძული. კლდის ნაპრალებიდან, ქვების გროვიდან, მეზობელი ხის ტოტებიდან ფრინველისაკენ შრიალით გასრიალდნენ აქამდე უძრავად მყოფი გველები.

რამდენი არიან ისინი?! და განა გაარჩევთ მათ კლდისა და ყვავილისაგან? ათასი? ასი ათასი?

ადვილი როდია თავის დაღწევა ამ შხამიანი, დამშეული არსებებისაგან. მათთან ბრძოლაში მხოლოდ არწივები არიან უშიშარნი.

ოცი წლის წინათ სწორედ ასეთი სახით გამოიყურებოდა ცხოვრება პატარა, სულ ოთხი კვადრატული კილომეტრი ფართობის მქონე კუნძულზე.

საშინელი ამბები ამ კუნძულის შესახებ აბრკოლებდა მასზე ადამიანის მისვლას. მხოლოდ მეთევზეები, რომელთაც ქარიშხალი მოუსწრებდა ხოლმე, იძულებული იყვნენ შეფარებოდნენ ამ კუნძულს. მათ მიერ მოთხრობილი ამბავი გველების შესახებ თაობიდან თაობას გადაეცემოდა, და შეიქმნა ლეგენდები კუნძულის მბრძანებელ ურჩხულებზე. წლების განმავლობაში უკაცრიელი იყო ეს ერთი მტკაველა მიწა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სულ რაღაც ოცდახუთი საზღვაო მილით არის დაშორებული პორტ-არტურის საზღვაო გზიდან.

რასაკვირველია, ისეთ შემთხვევით ნადავლს, როგორიცაა კუნძულზე გადაფრენილი ფრინველები, საეჭვოა რომ გამოეკვება ურიცხვი გველი.

ადამიანები, რომლებიც ახლახან იყვნენ ამ კუნძულზე, ამბობენ, რომ იგი სრულიად უდაბურია, და გველებიც აღარ არიან. საინტერესოა, გველები ფრინველების გარდა რით იკვებებოდნენ? როდის და რატომ გაქრნენ ისინი?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია გაემგზავრა გველების კუნძულის შესასწავლად.

# უ ც ხ ო უ რ ი ჰ უ მ ო რ ი


ეროვნული ბიბლიოთეკა

უწარწერო ხუმრობა იტალიური ჟურნალიდან




ფრანგულ ჟურნალ „ლავანგარდიდან"

გარეკანის პირველ გვერდზე: დ. ნოდია. — რუსთავში.

მეოთხე გვერდზე: ვ. სევეროვი. — გვიანი შემოდგომა კახეთში.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ.—რედაქტორის და პ/მგ. მდივნის—3-52-69, განყოფილებების—3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/I-59 წ. გამომც. № 209. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი 30.000. შეკ. № 1412, უე 01606

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/ს „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14.




ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა